ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 8 თებერვალი, 2013 №32 (6033) ფასი: 30 თეთრი

8 თებერვლიდან!
„ახალი თაობა“ +
სერია „დიდი ქართველები“
ვაჟა ფშაველა
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი



„ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტი პარლამენტში არ შეუშვა

გვ.3

პარლამენტის დაწუნებული პრეზიდენტი ხალხს ეროვნული ბიბლიოთეკიდან მიმართავს

ანდრო ბარნოვმა 9 დღეში საკუთარ თავს 2000-ლარიანი პრემია გამოუწერა

გვ.3



გიორგი მარგველაშვილი ვიცე-პრემიერად დაინიშნა

გვ.2

შალვა ნათელაშვილი: „მივმართავ ივანიშვილს, დაიწყე იმპიჩმენტის პროცედურა!“

გვ.4

შალვა იყოს და პოლიტკომიტეტი ბაღდადიდან მოვა

გვ.2

ზვიად ძიძიგური: „მარიკა ვერულაშვილს თავად ნაციონალები ემუქრებოდნენ“

აფხაზეთში არსებულ ქართულ ძეგლებს იუნესკოს დახმარებით დავიცავთ

გვ.6

ჯუმბერ თავართქილაძე: „სააკაშვილმა დევნილები და ეკომიგრანტები ერთმანეთთან დააპირისპირა“

— გვ. 4 —

6 თებერვლიდან!
„ახალი თაობა“
+
ჩე გევარა
8 ლარი



3 ცეზარ ჩოჩელის ხალხმა ვანო მერაბიშვილს სცემა

5 საგაზაფხულოდ 1650 წვევამდელის გაწვევა მოხდება

6 პარლამენტი ახალ ელჩებს დაამტკიცებს

5 „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილებები შედის

ზვიად ძიძიგური: „მარიკა ვერულაშვილს თავად ნაციონალები ემუქრებოდნენ“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ზვიად ძიძიგურთან

— ბატონო ზვიად, პარლამენტში გამართული დებატები მინდა, რომ შეაფასოთ.

— ეს იყო ცალსახა დადასტურება იმისა, რომ უმცირესობას პასუხი არ ჰქონდა საერთოდ, თუ რატომ უნდა იყოს კონსტიტუციაში ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც სააკაშვილს შეუძლია დაითხოვოს მთავრობა და თვითონ დააკომპლექტოს ყოველგვარი პარლამენტის ნდობის გარეშე. ის ხალხი, რომლებსაც პრეტენზია აქვთ მთელი ამ წლების განმავლობაში, რომ არიან მხარდამჭერები თუ ხალხი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ამ წლების განმავლობაში დემოკრატიულ ღირებულებებს ემსახურებოდნენ, ეს ადამიანები ყველანი დღეს არიან ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმ თვალსაზრისით, რომ ვერ ამბობენ ვერაფერს ამ რგოლის არსებობიდან გამომდინარე და მათი პოზიცია არის სრულიად მიუღებელი, სრულიად ცალსახა, რომ ისინი ისევ სააკაშვილის ერთგვარი მონობის ქვეშ იმყოფებიან. მე ვფიქრობ, რომ ეს მათთვის არის ძალიან მძიმე მოცემულობა, რომელშიც ისინი იმყოფებიან, თუმცა 2004 წელში უჭერდნენ ისინი მხარს ამ ცვლილებებს. მაშინ ახალგაზრდა რეფორმატორების გუნდი მოვიდა ხელისუფლებაში, ჰქონდათ დიდი მხარდაჭერა და მათ ნებართვა ჰქონდათ ხალხისგან, რაც გინდათ, ის გააკეთეთ, ოღონდ ქვეყანაში დემოკრატია დაამყარეთ. ეს ყველაფერი ხდებოდა მაშინ, რაც შევარდნაძის ამყაყებული ხელისუფლება შეიცვალა. დღეს გვაქვს სრულიად სხვა რეალობა და ყველა ჩვენგანისთვის ნათელი რეალობა, რომ მიხეილ სააკაშვილი ცდილობს, შეინარჩუნოს თავისი მახინჯი გავლენები ქვეყანაში. გუშინდელი დებატები ადასტურებს ცალსახად იმას, რომ კონკრეტულ თემაზე რატომ უნდა არსებობდეს და რატომ უნდა იყოს ასეთი ჩანაწერი კონსტიტუციაში, ჩვენ ამაზე პასუხი ვერ მივიღეთ. ჩვენ როდესაც ვეკითხებოდით, თუ რატომ უნდა იყოს ასეთი ჩანაწერი კონსტიტუციაში, ისინი ამბობდნენ სულ სხვა რამეს, რომ თქვენ გაქვთ პრობლემები საგარეო პოლიტიკაში, თქვენ გაქვთ პრობლემები ეკონომიკაში, თქვენ არ ასრულებთ საარჩევნო დანაპირებს და ამ ჩვენს კითხვაზე ვერაფერს გვპასუხობდნენ.

— ერთ-ერთი მთავარი ბრალდება იყო მათი მხრიდან, ვერ ასრულებთ დანაპირებსო...

— ეს არ იყო დებატების თემა, თუმცა ჩვენ მზად ვართ, თვითონ გამოგვიწვიონ დებატებში სოფლის მეურნეობის საკითხებზე, ენერგეტიკაზე, ჯანდაცვაზე, ჩახალიანზე და რაზეც უნდათ, ნებისმიერ თემაზე გამოვიდნენ დებატებში, კი ბატონო, ვიდებატოთ, ვისაუბროთ... მე დარწმუნებული ვარ, რომ მაგ დებატების შედეგი იქნება ძალიან ცალსახა და ძალიან მარტივი. იქნება ისეთი, რომ თითოეული ჩვენგანი ვნახავთ, რომ ყველაფერს, რასაც ისინი ამბობდნენ ამ ბოლო წლების განმავლობაში, ყველაფერი არის ელემენტარულად ტყუილი.

— მინაშვილმა პირადად თქვენკენ გამოიშვირა ხელი, თქვენ მოაწერეთ ხელი ჩახალიანის შეწყალებასო...

— ჩახალიანზეც მზად ვართ,



რომ ვისაუბროთ. არანაირი პრობლემა აქაც არ არსებობს, მოვიდნენ და ვიდებატოთ ნებისმიერ თემაზე. აქაც ჩვენ ცალსახა დემაგოგიას ვხედავთ, თუ ჩახალიანი ასეთი ქვეყნის დამაქცევარი იყო, მაშინ შესაბამისი მუხლებით უნდა გაესამართლებინათ და არა წვრილმანი დანაშაულისთვის, რომელსაც ამნისტია შეეხო და ეს ადამიანი გამოვიდა გარეთ. მე არავის არ მინდა, შეურაცხყოფა მივაყენო, არც ჩახალიანს და არც სხვებს, მაგრამ ერთი რამ არის ფაქტი, რომ ისინი აქაც დემაგოგიით არიან დაკავებული და ამ დემაგოგიაზეც მზად ვართ სასაუბროდ და გვაქვს სერიოზული პასუხები.

— ბატონო ზვიად, რამე პროვოკაცია ხომ არ აქვთ დაგეგმილი ჯავახეთისკენ, რატომ აბუქებენ ასე ამ თემას?

— ვერ გეტყვით, ვინ რა პროვოკაციაზე ფიქრობს. ჩვენ არავის არ მივცემთ არავითარი პროვოკაციისა და არეულობის უფლებას. ჩვენი ხელისუფლება არის ძალიან ძლიერი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლება, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლებაც თავის თავში ძალიან სერიოზულ ძალას ხედავს იმისა, რომ ქვეყნის მართვაში მიიღოს აქტიური მონაწილეობა. ის, რაც ახლა ამათ წარმოდგენილი აქვთ, რომ მათი დემაგოგია, მათი ხმამაღალი განცხადებები ან ისეთი მეთოდები, რომელიც პიარტექნოლოგიებს უკავშირდება, რომ ეს არის მათი მთავარი დასაყრდენი, ეს აღარ გამოუვათ. ეს არის გუშინდელი დღეს საქართველოსი, ჩვენ მზად ვართ, რომ ყველა გამოწვევას ვუპასუხოთ, რაც არის ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთაც. ეს არის ერთად შეკრული მონოლითური გუნდი, რომელიც მზად არის, ყველა ტიპის ამოცანას უპასუხოს.

— მთავარი ბრალდება ის არის თქვენი, უმრავლესობის მისამართით, რომ მიმდინარეობს სერიოზული ზეწოლა და შანტაჟი უმცირესობაზე, რათა საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის საკმარისი ხმები მოაგროვოთ. გუშინ ასევე ხშირად გაისმა მარიკა ვერულაშვილის გვარი, რომ მან მუქარის შედეგად დატოვა ნაციონალური მოძრაობა...

— მე შემიძლია გითხრათ, რომ მარიკა ვერულაშვილი, როცა მე ოპოზიციაში ვიყავი 2004-2008 წლის პარლამენტში, ბევრი ვაჟბატონი, რომელიც გუშინ ბევრს ლაპარაკობდა, გამარჯობის თქმას ვერ ბედავდა ოპოზიციისთვის და მარიკა ვერულაშვილს არასდროს შეშინებია ადამიანებთან არც კონტაქტის, არც ხელის ჩამორთმევის და არც მოკითხვის. ჩვენ ერთადაც ვყოფილვართ დელეგაციებში ამერიკასა თუ ევროპაში და ყველგან მარიკა ვერულაშვილი გამოირჩეოდა თავისი კომუნიკაბელურობითა და ვაჟკაცობითაც კი. ახლაც, როდესაც მან მიიღო გადაწყვეტილება და წამოვიდა უმცირესობიდან, დარწმუნებული ვარ, მისი პიროვნული თვისებები აქ ძალიან დიდ როლს თამაშობდა. ისინი რომ ებღაუჭებიან რაღაცებს და ხან სააკაშვილმა რომ გამოაცხადა, ვერულაშვილის ოჯახის წევრებზეა ზეწოლაო და ამას უმცირესობის წევრებიც რომ ლაპარაკობდნენ, მე რამდენადაც ვიცი, ვერულაშვილებს მართლაც ემუქრებოდნენ დაჭერით, ოღონდ ემუქრებოდნენ სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში, მას ოქტომბრამდე ემუქრებოდნენ და ეს ფაქტები ჩემთვის ცნობილია, თუმცა დეტალურად ამ საკითხებში არ ჩამიხედავს. რაღაცა აპრობირებული მეთოდი გახდა, პარლამენტარების ზეწოლაზე ლაპარაკობენ სხვები და არა თვითონ ის პარლამენტარები, რომლებიც არიან ე.წ. ზეწოლის მსხვერპლნი. მე გავიგე თურმე, როგორი ზეწოლა ყოფილა ლონდარიძეზე, ტელევიზიით თურმე მას მოეჩვენა, რომ ბიძინა ივანიშვილის განცხადება იყო მუქარა და მეორე ის, რომ პროკურატურაში რაღაც კითხვები დაუსვეს. თუ ასეთი სუსტები არიან, თუ ასეთი ფაქიზები არიან, რომ პროკურატურაში კითხვის დასმას ისინი ზეწოლად აღიქვამენ, ეს მათი პრობლემაა, ეს არ არის ჩვენი პრობლემა. ახლა რა ჰგონია რომელიმე დეპუტატს და რომელიმე პარლამენტარს, მათი დღევანდელი პარლამენტში ან ხელისუფლებაში ყოფნა გუშინდელი, ჩვენთვისაც ვინც დღეს ხელისუფლებაში ვართ — ეს არის დიდი პასუხისმგებლობა, პოლიტიკური პასუხისმგებლობა და, ვინც აღმასრულებელ ხელისუფლებაშია, მათ სამართლებრივი პასუხისმგებლობაც შეიძლება დაეკისროთ მათი ზეწოლისა თუ დანაშაულების გამო. ეს ხელისუფლებაში ყოფნის დროს ყველამ უნდა გაითვალისწინოს და არავის ეგონოს, რომ ხელისუფლებაში ყოფნა არის ერთი ნეტარება და განცხრომა და რასაც გინდა, მუდმივად იმას გააკეთებს და ეს ასე არ არის. დაუდგათ მათ პერიოდი, როდესაც კითხვებს უსვამენ მათ, კითხვების დასმა რომ არ სიამოვნებთ, ეს რა ჩვენი ბრალია, ძალიან დიდი ბოდიში მომითხოვია მათთან და კითხვების დასმა კი არა, შემდეგ შედეგებზე პასუხის გება, ეს უნდა იცოდნენ მათ, რომ მოუწევთ ყველას, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი და აქვთ სათანადო პრობლემები თავიანთ უახლოეს წარსულში. ამიტომ ახლა ზეწოლაზე ლაპარაკობდეს ის ხალხი, ვინც ვალერი გელაშვილის სასიკვდილოდ ცემის ფაქტს თავიანთი თვალით უყურებდნენ და ხმა არ ამოუღიათ, კობა დავითაშვილის გატაცებისა და ცემის ფაქტს უყურებდნენ და ხმა არ ამოუღიათ და კიდევ რომელი ერთი ჩამოგითვალოთ, რა ზეწოლების ქვეშ ვიყავით თითოეული ჩვენგანი, როდესაც ოპოზიციაში ვიყავით, მუდმივი შანტაჟები, მუქარები, ტელეფონზე რეკვები და შეურაცხყოფების მოყენებები, ეს იყო მათი ტაქტიკა და ამას აკეთებდნენ ისინი ძალიან ხშირად, მუდამ ამ მეთოდებს იყენებდნენ და დღეს ეს ხალხი ლაპარაკობს თავხედურად, რომ თურმე ზეწოლა არის ის, რომ ვიღაცას პროკურატურაში რაღაცას შეეკითხებიან. ეს ასე არ არის და ამიტომ ამ ზეწოლასთან დაკავშირებით ლაპარაკით გულს ვერავის აუჩუყებენ ვერც საქართველოში და ვერც საქართველოს ფარგლებს გარეთ.

— ბატონო ზვიად, თუ გაქვთ ინფორმაცია, ხომ არ იგეგმება კიდევ უმცირესობის მხრიდან მსგავსი ფაქტები, რომ დატოვონ მათ ნაციონალური მოძრაობა?

— ძირითადად ნაციონალურ მოძრაობას ჰყავს 10-15 ადამიანი, რომელიც პოლიტიკური ჭიპლარით არიან პირდაპირ მიბმულნი სააკაშვილზე და მის იქით მათ არც პოლიტიკური და არც სხვა ტიპის პერსპექტივა არ გააჩნიათ. ეს ადამიანები, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტს იხმაურებენ და ყველაზე მეტ დემაგოგიას გვანახვებენ თავიანთი საქმიანობის განმავლობაში და დანარჩენები კი არ არიან ნაციონალური მოძრაობის არც იდეური და არც საერთო დანაშაულებრივი წარსულით გაერთიანებული ნაციონალებთან. ამიტომ ამ თემებზე მე ვფიქრობ, რომ ძალიან მშვიდად და სერიოზულად უნდა შევხედოთ ამ საკითხებს, ყველას აქვს თავისი პოლიტიკური არჩევანის გაკეთების უფლება. გუშინ ორი განცხადება იყო კიდევ უმცირესობიდან, მე ვიცი, რომ ასეთი პროცესი, რომელიც ახლა მიმდინარეობს, ეს არის პოლიტიკური ლოგიკის შესაბამისი პროცესი, ლოგიკა მდგომარეობს იმაში, რომ ნაციონალურ მოძრაობას, მიშა სააკაშვილს და სხვებს დღეს აქვთ ერთიანი რეიტინგი, მათ არჩევნების ჩატარების შემთხვევაში ბარიერის გადალახვის სერიოზული პრობლემა შეექმნებათ. ეს არის პოლიტიკური ლოგიკა, მათ რამდენიც უნდათ, იმდენი ისაუბრონ ზეწოლაზე, არავითარი საფუძველი ამის მათ არ გააჩნიათ, მათ გააჩნიათ ერთადერთი, მხოლოდ გრძელი ენა და ამ გრძელი ენით ცდილობენ, თავი დაიცვან და თავიანთი პასუხისმგებლობის საკითხს აარიდონ თავი. მხოლოდ ეს არის მათი მამოძრავებელი ამ წუთისათვის, რომ, ჯერ ერთი, არავითარი პოლიტიკური პერსპექტივა არა აქვთ და მერე ასეთი ხმაურით ისინი ცდილობენ, რომ პროკურატურა ან სხვა სამართალდამცავი ორგანოები გააჩერონ და კითხვები არ დაისვას მათი წინა წლების საქმიანობასთან დაკავშირებით.

— საკმაოდ დაინტერესებულია საზოგადოება ამ საკითხით და, როგორ ფიქრობთ, მოგროვდება საკმარისი ხმები საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის?

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... მათი ყიჟინა, რომ, აი, ჩვენ დავახევინეთ უკან... უკან დაგვახევინეს კი არა, ნაციონალური მოძრაობის წევრების გაშიშვლების პროცესი მიმდინარეობს.

აგრარულ საკითხთა კომიტეტში სამუშაო შეხვედრა გაიმართა

პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტში, სამუშაო შეხვედრაზე გუშინ, საკანონმდებლო ინიციატივის წესით შემუშავებულ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე განხილვა გაიმართა.

კანონპროექტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაფუძნებას და საქმიანობის გარანტიებს უზრუნველყოფს. პროექტი განსაზღვრავს და მისი თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებებით უზრუნველყოფილია გადასახადებისა და შეღავათების, მიწის რეგისტრაციისა და საწარმოს რეგისტრაციის საკითხების გაუმჯობესება და გამარტივება, რაც უზრუნველყოფს მიწის ბაზრის შექმნას და წვრილი მეურნეობების გამსხვილებას.

კანონპროექტით, ასევე გათვალისწინებულია სახელმწიფოს მხრიდან იაფ კრედიტებზე წვდომის შესაძლებლობების გამარტივებაც.

სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა კომიტეტის წევრებმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა, ექსპერტებმა, ფერმერებმა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს.

ნიუსპრესი

თბილისის საკრებულოში ახალი ფრაქცია — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ შეიქმნა

თბილისის საკრებულოს დეპუტატებმა ზაზა გაბუნიამ და ჯაბა სამუშიამ, საკრებულოში ახალი ფრაქციის პრეზენტაცია გამართეს.

ფრაქციას „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ ეწოდება და ის თბილისის საკრებულოში, ბიძინა ივანიშვილის პარტიის ფრაქცია იქნება.

ჯაბა სამუშიას თქმით, ფრაქციას სამი წევრი: ზაზა გაბუნია, ჯაბა სამუშია და კახა ბროკიშვილი ჰყავს, ხოლო მას ზაზა გაბუნია უხელმძღვანელებს..

ზაზა გაბუნიას თქმით, ფრაქციის წევრთა რაოდენობა მომავალში სავარაუდოდ გაიზრდება.

„ვდგები იქ სადაც მთელი ამ ხნის მანძილზე ჩვენი საზოგადოება და ხალხი მომიწოდებდა დავმდგარიყავი. ვდგამ ამ ნაბიჯს, რათა გიგი უგულავას გუნდის მიერ თბილისის მართვისას დაშვებული შეცდომების წინააღმდეგ წამოწყებული პრინციპული პოლიტიკური ბრძოლა ბოლომდე მივიყვანოთ და იმისთვის, რომ თბილისელებს ჰყავდეთ მათი ინტერესების დამცველი საკრებულო, ჰქონდეთ მყარი სოციალური გარანტიები“ — განაცხადა ზაზა გაბუნიამ.

ნიუსპრესი

საქართველოში 89 121 დავითი ცხოვრობს

8 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს აღნიშნავს.

ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ კვლევა ჩაატარა.

სააგენტოს მონაცემების თანახმად, საქართველოში 89 121 დავითი ცხოვრობს, მიმდინარე წელს კი 127 დავითი დაიბადა. უხუცესი დავითი მიმდინარე წელს 98 წლის გახდება.

სააგენტოს ცნობითვე, სახელი „დავითი“ პოპულარობით გასულ საუკუნეშიც

სარგებლობდა. ყველაზე მეტი დავითი საქართველოში 1981 წელს დაიბადა.

გარდა ამისა, მრავლად გვხვდება ამავე ფუძის სახელის კნინობით-ალერსობითი ფორმებიც — დათო — 5166 და დათუნა — 755.

ნიუსპრესი

გიორგი მარგველაშვილი ვიცე-პრემიერად დაინიშნა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისმინისტრი გიორგი მარგველაშვილი ვიცე-პრემიერად ოფიციალურად დაინიშნა. როგორც საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში არის ნათქვამი, აღნიშნულ ბრძანებას პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ხელი უკვე მოაწერა.

„საქართველოს მთავრობის წევრს გიორგი მარგველაშვილს დაეკისროს საქართველოს ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება“, — აღნიშნულია ბიძინა ივანიშვილის ბრძანებულებაში.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე ხნის წინათ ვიცე-პრემიერობა ტავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას შეუწყდა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ცეზარ ჩოჩელის ხალხმა ვანო მერაბიშვილს სცემა

შორენა მარსაგიშვილი

მცხეთა-მთიანეთის ექს-გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელის თავზე შავი ღრუბელი ჩამოწვა. დღეის მდგომარეობით მისი ქონება დაყადაღებულია. როგორც მისი ადვოკატი აცხადებს, ოჯახს საარსებო საშუალებაც კი არ დაუტოვეს. ექს-გუბერნატორი იმედოვნებს, რომ ძალიან მალე დაამტკიცებს თავის სიმართლეს. ვნახოთ, როგორ გამოუვა ეს ამბავი. გამოძიებას მასთან ბევრი კითხვა აქვს. არც ის არის გამორიცხული, ჩოჩელმა ახალ ხელისუფლებასთანაც გამონახოს საერთო ენა. ამის გამოცდილება მას ნამდვილად აქვს.

2003 წელს ცეზარ ჩოჩელი მა-



ჟორიტარად ახალგორში კენჭს შევარდნაძის ბლოკიდან იყრიდა. მისი კონკურენტი ნაციონალებიდან სახელგანთქმული ფეხბურთელი ვოვა გუცაევი იყო.

ამომრჩეველთან შეხვედრის მიზნით გუცაევი რამდენჯერმე ეწვია ახალგორს. ერთხელ მას იქ მიხეილ სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილიც გაჰყვნენ. ვანო იმ დროისათვის ერთი ჩვეულებრივი დეპუტატი იყო. სააკაშვილი კი თბილისის საკრებულოს ედგა სათავეში. მათი სტუმრობა ახალგორში დიდი ხმაურით დასრულდა.

– როგორც კი ეს დელეგაცია დაინახეს, გამოვარდა რამდენიმე ადამიანი ყვირილით და უცენზურო შეძახილებით. რამდენიმე მათგანს ხელში მარგილი ეკავა. ისინი ნაციონალებს გაეკიდნენ. სააკაშვილი გაიქცა და მისი დაწევა შეუძლებელი აღმოჩნდა. ვოვა გუცაევი არსად გაქცეულა მაგრამ მისთვის ხელი არავის დაუკარებია. გაქცევას შეეცადა მერაბიშვილიც. მისდა საუბედუროდ, სააკაშვილივით მარდი ვერ აღმოჩნდა. დაეწივნენ და მაგრად სცემეს, – განუცხადა „ახალ თაობას“ ამ ამბის თვითმხილველმა.

მისი განცხადებით ნაციონალებს ქვები და მარგილები ჩოჩელის სანათესაო დაახვედრა. ჩხუბში მონაწილეობას თავად ჩოჩელიც ღებულობდა.

ცეზარ ჩოჩელი იმ დროისათვის ახალგორში კარგი სახელით სარგებლობდა. მას ჰქონდა ლუდსახარში „ლომისი“ და ბლომად ხალხი ჰყავდა დასაქმებული. და როგორც ახალგორელები ამბობენ, მან ბევრ ადამიანს გაუმართა ხელი.

ამდენად არავის გაჰკვირვებია მაჟორიტარული არჩევნები, რომ მოიგო. ამის გამო კი საკმაოდ დიდ შარში გაეხვია. 2003 წლის საპარლამენტო არჩევნები რევოლუციით დასრულდა.

რევოლუციის მიზეზად გაყალბებული არჩევნები დაასახელეს. შესაბამისად გაუქმდა არჩევნების შედეგები, მაგრამ მხოლოდ სანახევროდ. მაჟორიტარული შედეგები უცვლელი დარჩა. არადა, ყველა ოლქი თითქმის შევარდნაძის მაჟორიტარებს ჰქონდა მოგებული.

გავრცელებული ინფორმაციით, ამაში რევოლუციონერებმა საკმაოდ დიდი ფული აიღეს. იმ მაჟორიტარებს ფული თავზესაყრელად ჰქონდათ. საკუთარი ტყავის და მანდატის გადასარჩენად ვარდოსნებს ფული ფიანდაზად დაუფინეს.

რამდენიმე მაჟორიტარს უფრო ძვირი გადასახადი დაუწესდა. მათ შორის იყო ცეზარ ჩოჩელიც. ამბობენ, რომ მან ხელშეუხებლობა 3 მილიონად იყიდა. როგორ გგონიათ, ნაციონალები ქვებით და მარგილებით დახვედრას ასე აპატიებდნენ. ამბობენ, რომ მას წილშიც ჩაუჯდნენ.

დეპუტატად ჩოჩელი 2008 წლის იანვრამდე იყო. დეპუტატობის ჟამს არ აქტიურობდა და ხალხსაც ნაკლებად აღიზიანებდა. მერე გუბერნატორად დანიშნეს. ამბობენ, რომ ჩოჩელს არ სურდა გუბერნატორობა. ჩინეთშიც კი წასულა და უთქვამს, ცუდად ვარო. მაგრამ მერე ქონების ჩამორთმევით დაემუქრნენ. ასეთი რამეები იმ ხელისუფლებას საკმაოდ კარგად გამოსდიოდა.

გუბერნატორობამ ჩოჩელი სერიოზულად შეცვალა. ვანო მერაბიშვილთან ერთად ბევრის ქონება ჩაიგდო ხელში. დღეს მათ ერთობლივი ბიზნესი აქვთ. ამ ბიზნესში მერაბიშვილი ოფიციალურად არ ფიგურირებს. ამბობენ, რომ ჩოჩელიდან გამოძიება მერაბიშვილზე გავა. ვანო ამბობს, თუ ყოჩაღები არიან, დამკითხონო. მთავარი პროკურორი იძახის, დავკითხავთ, რა პრობლემააო.

ჩოჩელმა რამდენიმე დღე გაატარა საპატიმროში. მაშინ მერაბიშვილმა თქვა, რომ ის დიდი პატრიოტი იყო. იმის შემდეგ ჩოჩელის გვარი აღარ უხსენებია. სამაგიეროდ, სხვა ნაციონალებმა ატეხეს დიდი ამბავი. მეოცნებეებს თავს ლაფს ასხამენ, ადამიანი ისე როგორ გაიმეტეთ, საარსებო საშუალებაც კი არ დაუტოვეთო.

მართალია ჩოჩელს ანგარიშები დაუყადაღეს, მაგრამ საარსებო საშუალება მაინც დარჩებოდა. განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანზე ცუდი არ უნდა დაწერო, მაგრამ რაღაცების გახსენება აუცილებელია.

აბა, გავიხსენოთ, რამდენი ადამიანი გაათავისუფლეს მისი ბრძანებით სამსახურებიდან განსხვავებული პოზიციების გამო. არჩევნების წინ მისი ბრძანებით მარტო ყაზბეგში რამდენიმე ათეული ადამიანი მოხსნეს. მცხეთაში, თიანეთსა და დუშეთში კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო.

მძ,მე დღეში იყვნენ ამ რეგიონში მომუშავე ჟურნალისტებიც. „ახალი თაობა“ ხშირად წერდა, რა დღეში აგდებდნენ მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს. ეს რეგიონში პირველი დამოუკიდებელი მედიასაშუალება იყო და ამაზე სამხარეო ადმინისტრაცია კინაღამ გადაირია. მოგვიანებით იქ მეცხრე არხისა და ინფო 9 ჟურნალისტებიც გაჩნდნენ. კარგი დღე არც მათ დაადგათ.

რაკი ეს რეგიონი ვახსენეთ, იმასაც გაგახსენებთ, როგორ აიძულებდნენ აქაურებს ჩოჩელის პროდუქციის გასაღებას. ყველა მაღაზია ვალდებული იყო, ბარამბოს ტკბილეული გაეყიდა. ზოგ მაღაზიაში ბარამბოს ნაწარმის გარდა არაფერი იყიდებოდა.

ეს დრო წარსულს ჩაბარდა. შესაბამისად ნაციონალებმა თავი უნდა შეიკავონ სხვების დადანაშაულებაში. და არც ასე იოლად უნდა გამოაცხადო ადამიანი პატრიოტად, ისევე, როგორც მტრად.

რუსეთის დუმის დეპუტატებთან ერთად სხვას რომ ჰქონოდა ბიზნესი დაწყებული, ნაციონალები ალბათ გამუდმებით მასზე ილაპარაკებდნენ., ჩოჩელი კი მათთან ერთად ასხამდა ლუდს. და საერთოდ, ლუდის ბიზნესი მათი ფულით დაიწყო. ამისთვის მას ძმებმა ხადარცევებმა საკმაოდ სერიოზული თანხა გადაუხადეს.

სხვათა შორის, ხადარცევების კლანი თავიდან გოგი თოფაძესთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. იყო საუბარი, რომ მათ ყაზბეგში ერთობლივი საწარმოს გახსნაც კი შესთავაზეს. სადაც ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდებოდა. მაგრამ თოფაძემ არ მოინდომა, მისთვის ყაზბეგი, როგორც ჩანს, მარტო ლუდის სახელია და მეტი არაფერი.

გოგი თოფაძე საუბრის სხვა თემაა და მისით ცეზარ ჩოჩელს ნუ დავამძიმებთ. ისედაც დამძიმებულია მისი საქმე. როგორც თავში უკვე ვთქვით, ის თავისი სიმართლის დამტკიცებას აპირებს. და როგორც მისი ახლობლები ამბობენ, ძალიან გახარებულია, ნაციონალები ხელისუფლებას, რომ ჩამოშორდნენ.

საპარლამენტო უმრავლესობამ პრეზიდენტის მოსმენაზე უარი განაცხადა

შორენა მარსაგიშვილი

ასეთი რამე საქართველოს ისტორიაში მართლაც არ მომხდარა. საქართველოს პარლამენტმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მოსმენაზე უარი განაცხადა. მიხეილ სააკაშვილი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე ყოველწლიური მოხსენებით დღეს უნდა გამოსულიყო.

მის გამოსვლას მოუთმენლად ელოდა ყველა. განსაკუთრებულად სეირის მაყურებლები ელოდნენ. ყველასთვის ცნობილია, რომ კოალიცია „ერთსულოვნება“ დღეს პარლამენტის წინ აქციის მოწყობას გეგმავდა. ისინი პრეზიდენტისთვის სირცხვილის დერეფნის მოწყობასაც აპირებდნენ. მხარდამჭერების წაყვანა ნაციონალებსაც ჰქონდათ გუმანში. საქმეში ჩახედული ხალხი ამბობდა, რომ 8 თებერვალს ქუთაისში დიდი ჯახი იქნებოდა. ტოტალიზატორებმა ლამის ფსონების მიღება დაიწყეს.

ეს ოხერი წუთისოფელი კი ისეთია, არც გართობას გაცლის და არც სეირის ყურებას. ამჯერადაც ასე მოხდა. ოღონდ სეირი საპარლამენტო უმრავლესობამ ჩაშალა, ეგეც თქვენი ქართული ოცნება.

საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილება საზოგადოებას პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა ამცნო.

– მინდა, გამცნოთ, საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ჩვენ პატივს ვცემთ საქართველოს კონსტიტუციას, პატივს ვცემთ ყველა იმ პირს, რომელიც საქართველოს კონსტიტუციითაა განსაზღვრული, მათ შორის, პრეზიდენტის იმ უფლებებს, რომელიც ასევე კონსტიტუციითაა განსაზღვრული, მაგრამ ამავე დროს, ჩვენ პატივს ვცემთ საკუთარ თავსაც. ჩვენ გვინდა, რომ შედგეს საქართველოს პრეზიდენტის მოხსენება იმ პარლამენტში, რომელიც სათანადო უფლებამოსილებითაა აღჭურვილი და არა უბრალოდ, ადამიანების ერთობაა, რომლის გადაწყვეტილებაც პრეზიდენტს შეუძლია, რომ ერთპიროვნულად შეცვალოს. შესაბამისად, ჩვენი პოზიცია ასეთია, რომ საქართველოს პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, მიეცემა საშუალება პარლამენტში გამოსვლის, მაგრამ ეს ამას შემდეგ მოხდება, რაც ამ კონკრეტულ საკითხზე მიღებული იქნება პარლამენტის მიერ კონკრეტული გადაწყვეტილება, ან როდესაც ცალსახად და მკაფიოდ იქნება გამოხატული პრეზიდენტის და მისი პოლიტიკური გუნდის პოზიცია იმ კონკრეტულ საკითხზე, რასაც პარლამენტისთვის უფლებების დაბრუნების ჰქვია, – განაცხადა უსუფაშვილმა.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი და პარლამენტის ყოფილი სპიკერი დავით ბაქრაძე ამ გადაწყვეტილებით აღშფოთებული დარჩა. მისი აზრით, უმრავლესობა არც პრეზიდენტის და არც საპარლამენტო პოლიტიკური დებატის მოსმენისთვის მზად არ აღმოჩნდა.

– ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენი კოლეგები უმრავლესობიდან მზად არ აღმოჩნდნენ არც პრეზიდენტის მოსმენისთვის და არც საპარლამენტო პოლიტიკური დებატისთვის. ნებისმიერ შემთხვევაში ეს არის მათი გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებას იღებს საპარლამენტო უმრავლესობა და ბიურო და ერთადერთი, რაც ჩვენ დაგვრჩენია, გამოვხატოთ ჩვენი სინანული და დავემორჩილოთ იმ ფაქტს, რომ დღეს საპარლამენტო უმრავლესობამ და საპარლამენტო ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ხვალ საქართველოს მოსახლეობას აღარ მიეცემა საშუალება, მოისმინოს, ვფიქრობ, ის საინტერესო დისკუსია, რომელიც შეიძლება გამართულიყო პარლამენტში, – განაცხადა ბაქრაძემ.

ნაციონალი დეპუტატი ნუგზარ წიკლაური დარწმუნებულია, რომ უმრავლესობის მიერ პარლამენტში პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლისა და დებატების გადადების გადაწყვეტილება ბიძინა ივანიშვილის პირადი ბრძანებაა.

– 6 თებერვალს გამართულმა დებატებმა აჩვენა უმრავლესობის სრული უსუსურობა. იმ შედეგმა, რომელიც ამ დებატების შემდეგ დადგა, ძალიან გააღიზიანა ბიძინა ივანიშვილი და ძალიან ღრმად მწამს, რომ ეს არის მისი პირადი ბრძანება, რომ აღარ გაიმართოს ეს დებატები, რომ კიდევ ერთხელ არ წარმოჩნდეს ის სრული არაადეკვატურობა და არაკომპეტენტურობა, რომელიც დღევანდელ უმრავლესობას აქვს. პარლამენტი აზრთა გაცვლა-გამოცვლის ადგილია და როდესაც უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ აღარ შეუძლიათ უმცირესობასთან დებატები, ასეთ უმრავლესობას დიდი დღე ნამდვილად არ უწერია, – იწინასწარმეტყველა წიკლაურმა.

ნაციონალების პოზიცია მეოცნებე დეპუტატებს ნაკლებად აინტერესებთ. მიაჩნიათ, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღეს. ისინი პრეზიდენტის მოსმენასაც აპირებენ, მხოლოდ ერთი პირობა უნდა შესრულდეს.

– მას შემდეგ, რაც პარლამენტს დაუბრუნდება უფლებამოსილება, მთავრობის ფორმირება ხალხის ნების შესაბამისად მოახდინოს, მზად ვიქნებით, მიხეილ სააკაშვილს მოვუსმინოთ. საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტს უფლებამოსილება ეზღუდება, გუშინ პოლიტიკური დებატები იმ მიზნით გაიმართა, რომ უმცირესობას საკუთარი არგუმენტები წარედგინა. გუშინწინ უმცირესობას შანსი ჰქონდა, ქართული სახელმწიფოსთვის მათი პოზიცია ნათელი გამხდარიყო. უარს ვამბობთ, მოვუსმინოთ ადამიანს, რომელსაც მიტაცებული აქვს პარლამენტის უფლებები. ყველაზე მთავარი ის არის, რომ მთავრობის ფორმირება ხალხის ნების შესაბამისად უნდა მოხდეს, – აღნიშნა მან.

2012 წლის ბოლოს 78 დეპუტატის ხელმოწერით ინიცირებულია საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც პრეზიდენტის უფლებამოსილებებს ეხება. კერძოდ, კონსტიტუციიდან ის მუხლები ამოდის, რომელიც პრეზიდენტს ახლად არჩეული პარლამენტის პირველი ექვსი თვის განმავლობაში და საკუთარი უფლებამოსილების ამოწურვამდე ბოლო ექვსი თვის განმავლობაში დათხოვნას უკრძალავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტს უფლება ეძლევა, დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები ნებისმიერ დროს – მათ შორის პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან ექვსი თვისა და პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში.

ამავე პროექტით, ქვეყნის პირველი პირის უფლებები მთავრობის დათხოვნის მიმართულებით იზღუდება. კერძოდ,

მოქმედი საკონსტიტუციო ნორმით, თუ მთავრობის შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა ზედიზედ სამჯერ პარლამენტის ნდობას ვერ მიიღებს, პრეზიდენტი ხუთი დღის ვადაში პრემიერ-მინისტრის ახალ კანდიდატურას წამოაყენებს ან პარლამენტის თანხმობის გარეშე პრემიერ-მინისტრს ნიშნავს, ხოლო პრემიერ-მინისტრი, ასევე ხუთი დღის ვადაში, პრეზიდენტის თანხმობით მინისტრებს დანიშნავს. ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტი პარლამენტს დაითხოვს და რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავს. წარმოდგენილი ცვლილებების პროექტის თანახმად კი, თუ მთავრობის შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა პარლამენტის ნდობას ზედიზედ სამჯერ ვერ მიიღებს, პრეზიდენტი სამი დღის ვადაში პარლამენტს დაითხოვს და რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავს. მთავრობის უფლებამოსილება კი მისმა ძველმა შემადგენლობამ უნდა განახორციელოს.

საპარლამენტო უმცირესობისათვის ეს ცვლილებები მიუღებელია. ნაციონალები ამბობენ, რომ ოცნება მათ მხარდაჭერას ვერ ეღირსება. თავიდან საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღწევად ქართულ ოცნებას საკმარისი ხალხი არ ჰყავდა. ახლა ამბობენ, რომ საჭირო რაოდენობის ხალხი უკვე მოაგროვეს. მათ ნაციონალებიდან წამოსული ხალხის მხარდაჭერის იმედი აქვთ.

ნაციონალების რიგებს კი ხალხი ნელ-ნელა ტივებს. მარტო ამ კვირაში ნაცმოძი ორმა დეპუტატმა – მარიკა ვერულაშვილმა და გიორგი ფეიქრიშვილმა – დატოვა. უმცირესობა ამბობს, რომ მათზე ზეწოლა განხორციელდა.

მართალია სააკაშვილს პარლამენტში არ იღებენ, მაგრამ ის ხალხს მაინც მიმართავს. სააკაშვილი, პარლამენტის ნაცვლად, მოსახლეობას სიტყვით, ეროვნული ბიბლიოთეკიდან მიმართავს.

– იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოთხოვნის გამო, საპარლამენტო უმრავლესობამ უარი განაცხადა პარლამენტში, პრეზიდენტის კონსტიტუციით განსაზღვრული ყოველწლიური გამოსვლის მოსმენაზე, პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ხვალ, საზოგადოებას ეროვნული ბიბლიოთეკიდან მიმართოს იმავე მიმართვით, რითაც ის საქართველოს პარლამენტში უნდა წარმდგარიყო, – განაცხადა პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ.

ანდრო ბარნოვმა 9 დღეში საკუთარ თავს 2000-ლარიანი პრემია გამოუწერა

შორენა მარსაგიშვილი

იანვრის თვეში სააკაშვილმა საქართველოს 2 ახალი გუბერნატორი წარუდგინა. შიდა ქართლში და მცხეთა-მთიანეთში გუბერნატორებად ანდრო ბარნოვი და ხათუნა ოჩიაური დაინიშნენ. პრეზიდენტმა განსაკუთრებით ანდრო ბარნოვი აქო. ლამის მას დააბრალა სამხედრო აკადემიის შექმნა. გვიმტკიცებდა, ეს ადამიანი პატიოსნების ეტალონიაო.

ახლა კი ირკვევა, რომ ბარნოვი ერთი ჩვეულებრივი ჩინოსანია, რომელსაც კარგი ცხოვრება და პრემიები უყვარს ძალიან. პრემია ვის არ უყვარს და რომელ გუბერნატორს არ გამოუწერია, აი, ბარნოვს კი ნამეტანი ადრე მოუვიდა.

შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, შიდა ქართლის რწმუნებულ-გუბერნატორმა ანდრო ბარნოვმა დანიშვნიდან 9 დღეში პრემიები საკუთარ თავზე და თანამშრომლებზე გამოწერა.

განკარგულების მიხედვით, სოლიდური პრემიები მხოლოდ 8 თანამშრომელზეა გაცემული. ყველაზე მეტი რაოდენობა გუბერნატორს, ხოლო შემდეგ ზედამხედველობის სამსახურის უფროსს, რეზო კახნიაშვილს შეხვდა.

ბარნოვი საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით შიდა ქართლის გუბერნატორად 2013 წლის 12 იანვარს დაინიშნა. პრემიების შესახებ მისი განკარგულება 21 იანვარს გამოიცა, კერძოდ:

ანდრო ბარნოვი (გუბერნატორი) – 2000 ლარი; ზურაბ ჩხეიძე (1 მოადგილე) – 875 ლარი; ბადრი ბასიშვილი (მოადგილე) – 875 ლარი; გიორგი კვიწინაძე (მოადგილე) – 875 ლარი; ალექსი გოგლიძე (მოადგილე) – 875 ლარი; თენგიზ გოგიაშვილი (სამეურნეო სამსახურის უფროსი) – 437, 50 ლარი; რევაზ კახნიაშვილი (ზედამხედველობის სამსახურის უფროსი) – 1375 ლარი; მძღოლი – დავით სარაული – 392 ლარი.

ვერაფერს იტყვი, 9-დღიანი მუშაობის ფონზე საკმაოდ სოლიდური პრემიაა. საინტერესოა, რა იმუშავა ამისთანა ბარნოვმა? უი, მართლა, ამ რეგიონში ხომ კასპის რაიონი შედის, კასპი კიდევ თავის მხრივ არის ტატამი და ალბათ მეტი მუშაობა უწევს გუბერნატორს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ხელა პრემიას როგორ გამოიწერდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ბატონო ბიძინა,

თქვენთვის კარგადაა ცნობილი საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის – ცეკავშირის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, განსაკუთრებით სოფლის აღორძინებასა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაში, რაც ხორციელდებოდა მრავალდარგოვანი კოოპერატივების მეშვეობით.

წინა, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების მხრიდან სამომხმარებლო კოოპერაციისადმი ნეგატიურმა დამოკიდებულებამ, რაც გამოიხატა კანონმდებლობის უხეში დარღვევით კოოპერაციის ქონების მნიშვნელოვანი და საუკეთესო ნაწილის (ვაჭრობის, სამრეწველო, საწარმოო, კვების, დამზადება-გადამუშავება-რეალიზაციის, სამშენებლო, სატრანსპორტო, სამეცნიერო მომსახურების, საგანმანათლებლო, დასასვენებელი და ა.შ. ობიექტები) მითვისება-მიტაცებაში, კოოპერაციული დემოკრატიის პრინციპების უგულებელყოფით ცეკავშირის ხელმძღვანელ თანამდებობებზე არაპროფესიონალი, კოოპერაციისადმი არაკეთილგანწყობილი, უპირატესად პირადი გამორჩენის სურვილით შეპყრობილი პირების მოვლინებაში, სამართლის მიღწევის შეუძლებლობაში, კოოპორგანიზაციები ლიკვიდაციის ზღვარზე მიიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებულ პროცესებს ვეწინააღმდეგებოდით, სასურველს კი არა, მინიმალურ შედეგებსაც ვერ ვაღწევდით.

სახელისუფლებო ცვლილებებმა რწმენა და იმედი დაგვიბრუნა. თვალყურს ვადევნებთ მიმდინარე პროცესებს, ვხედავთ ჩვენი სისტემის ორგანიზაციების ადგილს სოფლის აღორძინებასთან დაკავშირებით თქვენი პროგრამის განხორციელებაში, იმედი გვაქვს შენარჩუნებული ქონების, კოოპერატორთა გამოცდილების და საქმიანი ურთიერთკავშირების, სამართლიანი სასამართლოს პირობებში გარკვეული ქონების შესაძლო დაბრუნების, ჩვენი ენთუზიაზმისა და თქვენთვის ჩვეული კანონიერი მხარდაჭერის შემთხვევაში, გაქრობას გადაურჩება მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი, საუკეთესო წარსულის, ტრადიციების მქონე, ქველმოქმედი საზოგადოებრივ-სამეურნეო ორგანიზაცია, რომლის ძირეული რგოლის პირველი წესდება დიდი ილია ჭავჭავაძის მიერაა ხელმოწერილი და ნაშუამდგომლები მეფისნაცვლის წინაშე 1868 წელს.

თქვენი ხელისუფლებაში მოსვლით ვხედავთ კოოპერაციის მომავალს. ამიტომ, ცეკავშირის დამფუძნებელი წევრების წარმომადგენლებმა და მეპაიეებმა, მ.შ. დევნილობაში მყოფებმაც, შევაფასეთ რა სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში შექმნილი ვითარება საგანგაშოდ, საგანგებოდ მოვიწვიეთ ყრილობა 2013 წლის 30 იანვარს, გამოვუცხადეთ უნდობლობა ცეკავშირის გამგეობას და მის თავმჯდომარეს როინ ადამაძეს, ავირჩიეთ მართვისა და კონტროლის ახალი ორგანოების, ცეკავშირის საბჭო და სარევიზიო კომისია. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია მამია ჭუმბურიძე.

ყრილობაზე დავამტკიცეთ ცეკავშირის სისტემის აღდგენა-განვითარების 2013-2014 წლების მიზნობრივ-კომპლექსური პროგრამა, რომლის განხორციელებით მოსალოდნელია: სოფლად 350-ზე მეტი ახალი მრავალდარგოვანი კოოპერატივის დაფუძნება 12.000 სამუშაო ადგილით, ხოლო სასოფლო სამეურნეო პროდუქციის დამზადება-გადამუშავების, მინისაწარმოებისა და აგრარული ბაზრების საქმიანობის გაუმჯობესებით, დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე ფასების 15-20%-ით შემცირება.

დიდი იმედი გვაქვს, პირადად თქვენი დახმარებით და მხარდაჭერით ეს ორგანიზაცია გახდება ქმედუნარიანი და კოოპერატორთა მრავალრიცხოვანი შემადგენლობა საპასუხო შედეგსაც არ დააყოვნებს. წინასწარ გმადლობთ დახმარებისა და თანადგომისთვის.

უღრმესი პატივისცემით, ყრილობის მონაწილეთა სახელით,

ყრილობის თავმჯდომარე — დავით ალექსიძე

ყრილობის მდივანი — ია მურუსიძე

შალვა ნათელაშვილი: „მივმართავ ივანიშვილს, დაიწყე იმპიჩმენტის პროცედურა!“

შალვა იყოს და პოლიტკომიტეტი ბაღდადიდან მოვა

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტული პარტიიდან პოლიტიკური კომიტეტის რამდენიმე წევრის წასვლის შემდეგ შრომის პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი გუშინ პირველად გამოჩნდა პრესის წინაშე. ქვეყნის პირველი ლეიბორისტი აცხადებს, რომ ლეიბორისტული პარტია კვლავ ქართველი ხალხის და მშრომელების ინტერესების დაცვის სამსახურშია და რომ პოლიტიკური კომიტეტიდან რამდენიმე წევრის გასვლა პარტიას ზიანს ვერ მიაყენებს.

„შალვა იყოს და პოლიტკომიტეტი ბაღდადიდან მოვა“, – ასე შეაფასა ლეიბორისტების ლიდერმა პოლიტკომიტეტის წევრების მხრიდან პარტიის დატოვება.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ლეიბორისტული პარტიის რამდენიმე ლიდერმა სოსო შატბერაშვილმა, კახა ძაგანიამ და პაატა ჯიბლაძემ პარტიის პოლიტიკური კომიტეტის დატოვების თაობაზე განცხადება რამდენიმე დღის წინ გააკეთეს.

შალვა ნათელაშვილი ჟურნალისტებთან არ მალავს, რომ მისთვის ადამიანურად მტკივნეული იყო პარტიიდან რამდენიმე ლიდერის წასვლა. თუმცა ეს პრობლემა გადასატანია.

– ეს ძველი საკითხია და ოთხი თვის წინ მოხდა ეს ამბავი. ადამიანურად ჩემთვის მტკივნეულია, რადგან ერთი ოჯახივით ვიყავით. მაგრამ შალვა იყოს და პოლიტკომიტეტი ბაღდადიდან მოვა. თქვენ ხომ გაგიგიათ ცნობილი გამოთქმა თაფლისა და ბუზის ამბავი. ყველა ადამიანს არ აქვს მოთმინების თანაბარი კოეფიციენტი. ეს ჩემთვის პირადად ტრაგედიაა, რადგან ჩემი მეგობრები იყვნენ და მათ წარმატებებს ვუსურვებ, – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა.

გუშინვე ოპოზიციური პარტიის ლიდერი მიმდინარე პოლიტიკურ ამბებსაც გამოეხმაურა და უმრავლესობას პრეზიდენტის იმპიჩმენტის დაწყებისაკენ მოუწოდა.

–ალბათ, არავის ეპარება ეჭვი ბიძინა ივანიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის გარიგებასთან დაკავშირებით რომლის თანახმადაც პრემიერმა დაპირების მიუხედავად უარი თქვა, დაეწყო იმპიჩმენტის პროცედურა, მაგრამ დანაშაულის გამოსყიდვა, შეცდომების გამოსწორება არასოდეს არ არის გვიან. 8 თებერვალს ისტორიამ კიდევ ერთხელ მოგვცა იმის შანსი, რომ დაიწყოს ხელიდან გაშვებული მომენტის გასწორება და როდესაც მიხეილ სააკაშვილი თავისი უკანასკნელი გამოსვლისთვის მიბრძანდება პარლამენტში, მის თვალწინ უმრავლესობამ განახორციელოს იმპიჩმენტზე ხელმოწერები, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა გაიხსენა ლეიბორისტების მიერ ჯერ კიდევ 2011 წელს წინა მოწვევის პარლამენტში შეტანილი განცხადება იმპიჩმენტის შესახებ. როგორც ცნობილია, მას ორიოდე დეპუტატმა მოაწერა ხელი, ლეიბორისტების გარდა. შალვა ნათელაშვილი ურჩევს ივანიშვილის უმრავლესობას, გამოითხოვოს აღნიშნული დოკუმენტი პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტიდან და მის საფუძველზე დაიწყოს იმპიჩმენტის პროცედურა.

– მივმართავ ბიძინა ივანიშვილს: არ გაქვს უფლება, ცოდვები ჩამოაწერო წინამორბედს. დაიწყე იმპიჩმენტის პროცედურა. თუ ამას არ გააკეთებ, წადი და დაწყებულ საქმეს ჩვენ მივიყვანთ ბოლომდე, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

რამდენად გაითვალისწინებს ბიძინა ივანიშვილი და მისი კოალიციური უმრავლესობა ლეიბორისტული პარტიის ლიდერის შეთავაზებას, ძნელი სათქმელია, მით უმეტეს, იმ ფონზე, რომ პრემიერმა ივანიშვილმა თავისი დამოკიდებულება ნათელაშვილთან და მის ოპოზიციონერობასთან დაკავშირებით პოლიტიკაში მოსვლისთანავე დააფიქსირა.

ჯუმბერ თავართქილაძე: „სააკაშვილმა დევნილები და ეკომიგრანტები ერთმანეთთან დააპირისპირა“

გულიკო ბალაძე

ჰით იყო დაჯავებული მიხეილ სააჯაშვილი ბოლო 100 დღის განმავლობაში, მას შემდეგ, ჰაც ამ ქვეყანაში აღაჰაფეჰს ეჯითხებიან?

ამ ხნის განმავლობაში, აწ უკვე მიშა ვადაგასული, როგორც მას ბოლო დროს, 5-წლიანი საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ შეარქვეს, პრეზიდენტის რანგს აშკარად ვეღარ ერგება. ამ ხნის განმავლობაში მას ხან ნაციონალური მოძრაობის გათავისუფლებული ლიდერების გვერდით ვხედავდით, ხანაც პარლამენტის უმცირესობის წარმომადგენლებთან. ხანაც საზღვარგარეთ დაბრძანდებოდა. ქვეყნის შიგნითაც სეირნობდა ხოლმე.

ამ მხრივ გამოირჩევა, მაგალითად, სააკაშვილის ვოიაჟები აჭარაში, სადაც მას ხვდება აწ უკვე გათავისუფლებული აჭარის ყოფილი მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე და ერთად დანავარდობენ ხოლმე აქა-იქ.

ბოლო პერიოდში მიშა ვადაგასული აჭარაში ვარშალომიძესთან ერთად რიგ ოჯახებს სტუმრობდა და იკვლევდა, ამა თუ იმ ოჯახს, რამდენი მანდარინი გაუფუჭდა, შარშან უფრო მეტი გაყიდეს თუ წელს და ა.შ.

სამაგიეროდ, მიშა ვადაგასული ვერ თანამშრომლობს აჭარის ახალ მთავრობასთან. ისე მოივლის ხოლმე აჭარას, ერთხელაც არ შეეხმიანება და არ ჰკითხავს, რა პრობლემებია, რა გადაწყდა და რა ვერ გადაწყდა. ეს მას უკვე აღარ ეხება.

მოკლედ, მიშა ვადაგასული მხოლოდ ვარშალომიძესთანაა კოპბიტაციაში და მთელი დრო, ახალი ხელისუფლების 100-დღიან პერიოდში, მთლად ფუჭად გაატარა. ამ დროის განმავლობაში ის ასევე ნაცმორაობის საქმეების მოგვარებით, თავისი თანაგუნდელების დაცვითა და საათობით ახალი ხელისუფლების კრიტიკით იყო დაკავებული.

ხალხის პარტიის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე ჯუმბერ თავართქილაძე აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილი წარსულში ჩარჩა, მაგრამ ეიფორიიდანაც ვერ გამოსულა, თანაც ჰგონია, რომ აჭარაში კიდევ მისი მთავრობაა და არაადეკვატურად იქცევა.

– ბატონო ჯუმბერ, არაერთხელ გამეორდა ის, რომ სააკაშვილი ჩამოვიდა აჭარაში და აჭარის მთავრობის ყოფილ თავმჯდომარე ვარშალომიძესთან ერთად რაიონებში იმოგზაურა. მიშა ვადაგასული ნაციონალური მოძრაობის რეანიმაციას ხომ არ ცდილობს? თქვენ როგორ აღიქვამთ სააკაშვილის ვოიაჟებს?

– ბუნებრივია, ბატონი სააკაშვილი უკვე ვადაგასული პრეზიდენტია. აქედან გამომდინარე, მას არავითარი ფუნქცია აღარ აქვს. სხვა რა საქმე აქვს, დადის და მოგზაურობს. მოგზაურობა უყვარს. თუმცა, საზღვარგარეთ აღარ იღებენ. ნაციონალები მხოლოდ ერთმანეთს ამაგრებენ, რომ მთლიანად არ ჩამოშალონ. მე მესმის სააკაშვილის. ამ კაცს ყველაფერი გააჩნდა საიმისოდ, რომ ქვეყანა კარგად ემართა. პრეზიდენტი რომ გახდა, მას ისეთი სასტარტო მდგომარეობა ჰქონდა, რომ ისეთი პირობები ბოლო 25 წლის განმავლობაში არავის ჰქონია. მან ყველაფერი გაფლანგა და დღეს აღარაფერი აქვს. სააკაშვილი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მეგობარ ქვეყნებშიც ბანკროტი გახდა.

– მიშას არ შეეძლო, მაგალითად, აჭარაში ჩამოსულიყო და მთავრობის ახალ თავმჯდომარესთან ერთად განეხილა ესა თუ ის საკითხი, ან მასთან ერთად გასულიყო რაიონებში, თუ ქვეყნის პრეზიდენტად წოდებული პირი ვერ ამყარებს კავშირს, რეალურად, დღეს მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მუდამ ლევან ვარშალომიძესთან ერთად ჩნდება?

– ბუნებრივია, მას უფლება აქვს, კონტაქტი დაამყაროს აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან. ეს მას პირდაპირ ევალება. შეუძლია, აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან განიხილოს, რა პრობლემებიც არის, მაგრამ ის წარსულში ჩარჩა და თან ეიფორიიდან ვერ გამოდის. სააკაშვილს კიდევ ჰგონია, რომ აჭარაში მისი მთავრობაა და, ბუნებრივია, ლევანთან ერთად მოძრაობს ხოლმე. თუმცა, არა მგონია, დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მიხეილ სააკაშვილს რამე საერთო ჰქონდეთ. თუ გავიხსენებთ სააკაშვილის ბოლო პერიოდის გამოსვლას ევროპარლამენტში, ნათლად დავინახავთ, რომ ეს ადამიანი არის ქართველი ერის მტერი. ვფიქრობ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა უკვე ყველანაირი კონტროლი დაკარგა. ის რეალობასაა მოწყვეტილი. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ყველაფერი აზარალებს ჩვენს ქვეყანას, ერს. თუმცა, ვინც უკვე იცნობს მიხეილ სააკაშვილს, არა მგონია, მის განცხადებებსა და ჩვენებას მნიშვნელობა მიანიჭოს. სააკაშვილს უყვარდა ზღვის სანაპიროზე დასვენება. სააკაშვილს უყვარს მის მიერ არაერთგზის გაპიარებულ სასტუმროებში ვოიაჟები. როცა ადამიანს არავითარი საქმე აღარ აქვს, სხვა რა დარჩენია, თუ არა ზევით-ქვევით სირბილი. ის, უბრალოდ, ზევით-ქვევით დარბის უფუნქციოდ. მის პარტიაში ვინც კიდევ შემორჩა, ნელ-ნელა გარბის. გემი რომ იძირება და ვირთხები გარბიან, ის მომენტია. მცირე ჯგუფი, რომელიც ჰყავს სააკაშვილს, ისიც რომ არ ჩამოეშალოს, იძულებულია, იაროს არა მარტო ბათუმში, არამედ ხულოში, მარტვილში, ზუგდიდში და ყველგან. პრეზიდენტმა სააკაშვილმა ბათუმში განუცხადა დევნილებს, სახლი რომ აშენდება, მე პირადად ჩამოვალ და შეგასახლებთო.

– მანდ, მე მგონი, მიშა ვადაგასულმა დევნილები და ეკომიგრანტები ერთმანეთთან დააპირისპირა, რადგან სახლი ეკომიგრანტებისთვის შენდებოდა თურმე.

– რა თქმა უნდა, სააკაშვილს ჰქონდა დაპირისპირების მცდელობა, მაგრამ ქართველი ხალხი სააკაშვილზე გონიერი და ჭკვიანი რომ არის, არჩევნებზეც გამოიხატა. თუმცაღა, მიშა სააკაშვილს მინდა შევეკითხო, რა უშლიდა ხელს 9 წლის განმავლობაში, ეს რომ გაეკეთებინა, როცა ერთპიროვნული მმართველი იყო, თვითონ გახლდათ რეალური ძალაუფლების მქონე? დღევანდელმა ხელისუფლებამ გასული 100 დღის განმავლობაში იმაზე მეტი შეძლო და გააკეთა, რაც ნაციონალურმა მოძრაობამ 9 წლის განმავლობაში. ბუნებრივია, ესეც აგიჟებს სააკაშვილს, რომ 3 თვის განმავლობაში ახალმა ხელისუფლებამ იმაზე მეტი გაკეთდა საქართველოში, რაც არ გაკეთებულა 9 წლის განმავლობაში. ამას რომ ხედავს, ის, საერთოდ, რეალობას წყდება.

– ე.ი. თქვენ ახალი ხელისუფლების 100-დღიან პერიოდს დადებითად აფასებთ. აჭარაში საზოგადოება როგორ რეაგირებს ახალი ხელისუფლების მოქმედებებზე?

– საზოგადოებამ სწორად დაინახა და სწორად გაერკვა. ხალხი კმაყოფილია იმდენად, რამდენადაც თითოეული ჩვენგანის ოჯახზე აისახა.

– როგორ აისახა?

– პროდუქტი ხომ გაიაფდა? ვერ ვიტყვით, რომ არ გაიაფდა. დენის ტარიფი დაიწია. არ განახევრებულა, მაგრამ პირველ ეტაპზე რაც შესაძლებელი იყო, გაკეთდა. დენის ფასის დაკლება ხომ აისახა ჩვენს მოქალაქეებზე? ბუნებრივია, აისახა. საწვავი გაიაფდა და, ბუნებრივია, თითოეულ ჩვენგანზე აისახა. დღევანდელმა მთავრობამ, მთავრობის თავმჯდომარემ შესაძლებელზე მეტი გააკეთა, ვიდრე ოდესმე გაკეთებულა საქართველოში. საქართველოში, როგორც წესი, ყველა ხელისუფლების პერიოდში ფასები იზრდებოდა ყველგან და ყველაფერში. ერთადერთი ადამიანია ბიძინა ივანიშვილი, რომლის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო ფასების დაკლება. რეალურად, საქმე ისე მიდის, რომ თითოეული ჩვენგანის ოჯახმა ხეირი ნახა დღევანდელი ხელისუფლების მუშაობით.

– სხვათა შორის, ბოლო დროს, როცა მიშა ვადაგასული აჭარაში იმყოფებოდა, აჩვენეს გადაყრილი მანდარინი. ეს დააბრალეს ახალ ხელისუფლებას. შეგიძლიათ ახსნათ, რა ხდება ამ მხრივ?

– მანდარინი ყველა ეპოქაში და ყველა ხელისუფლების პირობებში შესაძლებელია გაუფუჭდეს ჩვეულებრივ გლეხს და გადაყაროს. მაპატიეთ, მაგრამ, დღევანდელი ხელისუფლება მოვიდა ოქტომბრის ბოლოს. რა თქმა უნდა, დღევანდელი ხელისუფლება ვერანაირად ვერ დაეხმარებოდა ხალხს ციტრუსის რეალიზაციაში. რატომ? იმიტომ, რომ, ფაქტობრივად, ამაზე სამუშაო დროც არ იყო. ციტრუსი ხალხს უკვე მოკრეფილი ჰქონდა. ხალხი კაბინეტებში არ იყო შესული და როგორ შეძლებდა უკრაინასთან, ბელორუსიასთან ან სხვასთან ხელშეკრულებების გაფორმებას?

– ამ საკითხით აპელირებდა მიშა, სატელევიზიო რეპორტაჟიც იყო და საუბრობდა იმაზე, თითქოს ძველი ხელისუფლება შარშან უფრო ეხმარებოდა ხალხს, შარშან უფრო მეტი გაყიდა ხალხმა, ვიდრე – წელს.

– მანდარინი ისეთი პროდუქტია, 50-100 კილოგრამი ყველა ოჯახს შეიძლება გაუფუჭდეს. ის დასაწყობებულიც ფუჭდება.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

საგაზაფხულოდ 1650 წვევამდელის გაწვევა მოხდება

სავალდებულო სამხედროს ამსახურში საგაზაფხულო გაწვევა დაიწყო. გაწვევის პროცესს კოორდინაციას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უწევს.

სამინისტროს ინფორმაციით, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას 18-დან – 27 წლამდე ასაკის ის მოქალაქეები ექვემდებარებიან, რომლებიც სამხედრო აღრიცხვაზე იმყოფებიან და არ აქვთ გადავადების ან გათავისუფლების უფლება.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე სულ 1650-მდე წვევამდელის გაწვევა მოხდება, რითაც მთლიანად დაკომპლექტდება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების მოთხოვნები.

წვევამდელები, უწყების მიღების შემდეგ, მითითებულ ვადაში უნდა გამოცხადდნენ შესაბამის გამწვევ კომისიებში. ხოლო გამწვევ კომისიაში გამოუცხადებლობა სამხედრო სამსახურიდან თავის არიდების მიზნით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197-ე პრიმა მუხლის შესაბამისად, გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

ამჟამად მოსამზადებელი სამუშაოები და წვევამდელთა სამედიცინო შემოწმება მიმდინარეობს. აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ კი, 15 თებერვლიდანწვევამდელთა ჩარიცხვების პორცესი დაიწყება.

საგაზაფხულო გაწვევა წვევამდელთა შემკრებ-გამანაწილებელი პუნქტის შენობიდან ხორციელდება, სადაც მათ სამედიცინო გამოკვლევებიც უტარდებათ და დოკუმენტაციის სრულად მოსაგვარებლად რამდენიმე ადგილას მისვლა აღარ სჭირდებათ.

ნიუსპრესი

„საქართველოს ბანკზე" ყაჩაღური თავდასხმის საქმე გახსნილია

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, „საქართველოს ბანკის" დაყაჩაღების ფაქტზე, ორგანიზებული ყაჩაღური დაჯგუფების წევრები – 1987 წელს დაბადებული გიორგი მ. და 1987 წელს დაბადებული ირაკლი ბ. დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, 2013 წლის 6 თებერვალს, 16 საათსა და 25 წუთზე, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული სამი ნიღბიანი პირი მუხიანში, ნონეშვილის №10-ში მდებარე „საქართველოს ბანკის" სერვისცენტრს დაესხა თავს. დამნაშავეებმა ბანკის ოპერატორებს, იარაღის მუქარით, სალაროდან 5360 ლარი გასტაცეს. მათ პოლიციელებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ორმხრივი სროლისას არავინ დაშავებულა, დაზიანდა ბანკის წინ მდგარი ავტომანქანა.

სამართალდამცველებმა ირაკლი ბ. უშუალოდ ბანკის შენობაში, ხოლო გიორგი მ. „საქართველოს ბანკის" შენობიდან რამდენიმე მეტრში დააკავეს. მათმა თანამზრახველმა კი მიმალვა შეძლო.

ამოღებულია დანაშაულის იარაღი – გადაჭრილი სანადირო თოფი და ბანკის სალაროდან გატაცებული ფული.

დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული ყაჩაღური დაჯგუფების წევრები, 2013 წლის 10 იანვარს, გლდანში, შპს „ნიკორას" მაღაზიასაც დაესხნენ თავს.

ყაჩაღობაში მონაწილე მესამე პირის დასაკავებლად მიმდინარეობს ოპერატიული ღონისძიებები.

ყაჩაღობის ფაქტზე გამოძიებას, 179 -ე მუხლის II ნაწილის „დ" ქვეპუნქტით და 236 (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება) მუხლის I და II ნაწილებით, შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველო აწარმოებს.

ნიუსპრესი

შაშიაშვილი პარლამენტის გადაწყვეტილებას მიესალმა

კოალიცია „ერთსულოვნების" ერთ-ერთი დამფუძნებელი, პარტია „თეთრების" ლიდერი თემურ შაშიაშვილი, საქართველოს პარლამენ-

ტის გუშინდელ გადაწყვეტილებას, უარი უთხრას სააკაშვილს სიტყვით გამოსვლაზე – „უაღრესად პოზიტიურ და ღირსეულ ნაბიჯად" აფასებს.

მისი თქმით საპარლამენტო უმრავლესობის ეს გადაწყვეტილება ეხმიანება კოალიცია „ერთსულოვნების" მოწოდებას, რაც მილიონზე მეტმა ადამიანმა ხელმოწერით დაადასტურა.

„ეს არის ღირსეული გადაწყვეტილება, რაც ეხმიანება ჩვენს მოწოდებას. ჩვენ ვამბობდით, რომ ღირსების მქონე პარლამენტმა არ უნდა მისცეს სიტყვა თვითმარქვია, ვადაგასულ პრეზიდენტს. სწორედ ამიტომ ვაწყობდით ქუთაისში „ღირსების აქციას" – განაცხადა „თეთრების" ლიდერმა.

მისივე თქმით, 8 თებერვალს დაგეგმილი აქცია მაინც შედგება.

„ჩვენ ხვალ ვიქნებით გელათში და დიდი დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გელათში შევხვდებით. ყველა მსურველს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამ ღონისძიებაში" – აცხადებს შაშიაშვილი.

ნიუსპრესი

გურამ დონაძეს ბრალად სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება წარედგინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ყოფილ ხელმძღვანელს გურამ დონაძეს ბრალი ოფიციალურად წარედგინა.

დონაძის ადვოკატის კახა შონიას განცხადებით, მას ბრალი 332-ე მუხლით წარუდგინეს, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს.

ადვოკატის განმარტებით, დონაძეს ბრალი ბუტა რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით წარუდგინეს.

შონიას განცხადებით, წინასწარი ინფორმაცით დონაძე დადანაშაულებულია ოპერატორისთვის მითითების მიცემაში, რომ მას შემთხვევის ადგილზე ჩადებული იარაღი გადაეღო.

მისივე თქმით, გურამ დონაძე არ აპირებს, რომ მართლმსაჯულებას დაემალოს და საქართველოში დაბრუნდება ჩვენების მისაცემად.

„ველოდებით, რომ აღკვეთის ღონისძიებად პროკურატურა პატიმრობას მოითხოვს, თუმცა ჩვენ დავაყენებთ შუამდგომლობას, რომ აღკვეთის ღონისძიების შეფარდება საერთოდ არ მოხდეს", – განაცხადა კახა შონიამ. მისი ინფორმაციით, დონაძისთვის წარდგენილი ბრალი, სისხლის სამართლის 332 მუხლის მესამე ნაწილი ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მედიანიუსი

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში" ცვლილებები შედის

პარლამენტის წევრებს ყოველი პლენარული სხდომის დასაწყისში, დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, განცხადებებისთვის გამოყოფილი დროით სარგებლობა მიეცემათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ცვლილებები შედის „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში", რომელიც პარლამენტის წევრის, ალექსანდრე ქანთარიას საკანონმდებლო ინიციატივით მომზადდა.

კანონპროექტი I მოსმენით საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის სხდომაზე დღეს განიხილეს. მომხსენებლის განცხადებით, რეგლამენტის მოქმედი რედაქციით, დეპუტატები განცხადებებით მხოლოდ ოთხშაბათის პლენარული სხდომის დროს სარგებლობენ, წარმოდგენილი ცვლილებებით კი, მათ ამის უფლება ყოველი სხდომის დროს მიეცემათ.

ცვლილებების თანახმად, პლენარული სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ განცხადებებისთვის, პარლამენტის წევრებს 30 წუთი დაეთმობათ, ამასთან ერთად, თითოეული პარლამენტის წევრი განცხადებისთვის 3 წუთიანი დროით ისარგებლებს.

ნიუსპრესი

ვალენტინობის საჩუქარი გამარჯვებულებს —

მაგთი MAGTI

რომაული არდადეგები მაგთიკომისგან

კონკურსში მონაწილეობს მსახიობი არჩილ სოლოღაშვილი. მან მეუღლესთან, ნუცა ქავთარაძესთან ერთად გადაღებული რომანტიკული ფოტო ვებ-გვერდზე გუშინ ატვირთა და იმედი აქვს, რომ კონკურსში გაიმარჯვებს.

„დიდი მადლობა „მაგთიკომს" ასეთი არაჩვეულებრივი კონკურსისთვის. ამ აქციაში მეც ვიღებ მონაწილეობას, ჩემი ფოტო უკვე ავტვირთე. იქნება გამიმართლოს. ვალენტილობა არის დღე, როდესაც გსურს, შენს საკუთარ თავსა და შენს სიყვარულს რაღაც ორიგინალური გაუკეთო. რამე დღესასწაული მოუწყო. „მაგთიკომი" ამის შანს გვაძლევს, რომში, საყვარელ ადამიანთან ერთად, მოგზაურობა, მართლაც რომ ბედნიერებაა", - ამბობს არჩილ სოლოღაშვილი.

16 იანვარს დაწყებული ფოტოკონკურსისთვის მაგტიფუნ-ის ფაცებოოკ აპლიკაციაში ფოტოების ატვირთვა 10 თებერველს დასრულდება. შეყვარებულ წყვილებს კიდევ რჩებათ რეალური შანსი დაუვიწყარი რომაული არდადეგებისთვის საგზურის მოსაგებად. შეგახსენებთ, რომ გათამაშებაშია სამი 2-კაციანი საგზური რომში, ფოტოებისთვის: ყველაზე რეიტინგული (ირჩევა ლაიკე-ებით), ყველაზე ორიგინალური და „მაგთიკომის" სიმპათია. ორ უკანასკნელს „მაგთიკომი" და კრეატიული ჯგუფი ერთად შეარჩევს.

„კონკურსის პირობები არის ასეთი, ნებისმიერ მსურველს ფაცებოოკე-ს მაგტიფუნის აპლიკაციაში უნდა აეტვირთათ თემატურად ვალენტინობისთვის შესაფერისი ფოტო. გამოვლინდება სამი გამარჯვებული, რომლებიც რომში გაემგზავრებიან. გამარჯვებულებს 14 თებერვალს გამოვავლენთ. „მაგთიკომის" სიმპათიის ფოტო ბილბორდებზე გამოიკვრება. ყველას ვუსურვებ წარმატებას. „მაგთიკომი" ყოველთვის ზრუნავს თავის მომხმარებელზე. ახალისებს სხვადასხვა კონკურსებითა და საჩუქრებიით. რომში გამგზავრების ძალიან ბევრი მსურველია, ფაცებოოკე-ს მაგტიფუნ-ის აპლიკაციაში დაახლოებით 3 ათასი ფოტო აიტვირთა. ფოტოები უკვე გადაირჩა, შემდეგ იქნება მეორე ტური და ბოლოს გამოვლინდება გამარჯვებული. ბევრი ორიგინალური ფოტოა. ყველას ვუსურვებ წარმატებებს", - ამბობს „მაგთიკომის" საზოგადეობასთან ურთიერთობის მენეჯერი თათული ღვინიაშვილი.

ასე რომ, რამდენიმე დღეში „მაგთიკომი" „ვალენტინობის ბარათს" ყველაზე ორიგინალური ფოტოს მქონე წყვილს გადასცემს და რომისკენ გზას დაულოცავს.

„მაგთიკომის" ფოტოკონკურსი „ჩემი ვალენტინობის ბარათი" ფინალს უახლოვდება. კონკურსის საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე „მაგთიკომმა" წვეულება გამართა და ცნობილი წყვილები დაპატიჟა. აღსანიშნავია, რომ 14 თებერვალს გამარჯვებული სამი წყვილი სამოგზაურო რომში გაემგზავრება.

„მაგთიკომის" რუსთაველის გამზირზე მდებარე ოფისში პროფესონალმა ფოტოგრაფებმა მოწვეულ სტუმრებს, საგანგებოდ, ფოტოკონკურსის თემატიკაზე შექმნილ ფოტოზონასთან სამახსოვრო ფოტოები გადაუღეს.

მოწვეულ სტუმრებს შორის იყო მსახიობი მარინა ჯანაშია. იგი „ვალენტინობის" წინა წვეულებაზე მეუღლესთან ერთად მოვიდა და კონკურსანტებს გამარჯვება უსურვა.

„სიამოვნებით მოვედი ამ წვეულებაზე მეუღლესთან ერთად. არაჩვეულებრივი განწყობაა, უამრავი ულამაზესი ფოტო ვნახე. ამ კონკურსის ჩატარება შესანიშნავი ჩანაფიქრია და ამისთვის „მაგთიკომს" აპლოდისმენტები ეკუთვნის. ყველა წყვილს ვულოცავ სიყვარულის დღეს და მარადიულ სიყვარულს ვუსურვებ", - ამბობს მარინა ჯანაშია.

როდის უნდა გადავდოთ პოლიტიკა გვერდზე

ნათია ხურცილავა

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ დადგენილება გუშინდელ მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მთავრობის სხდომაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი წარადგინა. ერთ-ერთი იყო სწორედ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა. ვინაიდან აღნიშნული პროგრამა 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია 50 მილიონი ლარის მოცულობით, გამოიცა ახალი დადგენილება, რომელიც დაარეგულირებს აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას.

გარდა ამისა, დადგენილებით დაკონკრეტდა და ნაწილობრივ ახლებურად ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტებში შემავალი კონკრეტული სოფლების მიხედვით თანხების გამოსაყოფად პრიორიტეტებისა და მიზნობრიობის განსაზღვრის კრიტერიუმები და პროცედურა. მთავრობამ ასევე მიიღო დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“.

ჟურნალისტებისთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ მთავრობის სხდომაზე აგრეთვე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ცვლილება საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის 172-ე დადგენილებაში შევიდეს, რომლითაც იცვლება საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შემადგენლობა.

– განიხილება და მტკიცდება სოფლის მხარდაჭერის 50-მილიონიანი სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომლის განხორციელების წესი ასევე ჩვენ მიერ იქნა შემუშავებული. როგორც კი მთავრობა მიიღებს ამ გადაწყვეტილებებს, მომდევნო კვირიდან ჩვენ საკმაოდ ფართომასშტაბიან სამუშაოებს დავიწყებთ საქართველოს რეგიონებში. წინა მოსამზადებელი სამუშაოები, კონსულტაციები უკვე მიმდინარეობს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან, – განაცხადა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ.

ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე კომპანია „ჩერნომორენერგოს“ განცხადებას გამოეხმაურა. სააგენტო „აპსნი პრესმა“ გაავრცელა კომპანია „ჩერნომორენერგოს“ მიმართვა დე ფაქტო პრეზიდენტისა და პარლამენტის მიმართ. მიმართვაში აღნიშნულია, რომ აფხაზეთში ელექტროენერგიის მოხმარებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია და მთლიანად სფეროში მძიმე ვითარებაა. მიმართვას კომპანიის 761 თანამშრომელი აწერს ხელს. ისინი დე ფაქტო ხელისუფლებას დარგის შესანარჩუნებლად ზომების მიღებას სთხოვენ.

– ამ თემაზე, რა თქმა უნდა, სამსჯელო იქნება და გამოვთქვამთ მზადყოფნას, ეს საკითხი განვიხილოთ, – განაცხადა კახა კალაძემ.

ენერგეტიკის მინისტრის განცხადებით, როდესაც საუბარია ენერგეტიკაზე, პოლიტიკა გვერდით უნდა გადაიდოს.

აფხაზეთში არსებულ ქართულ ძეგლებს იუნესკოს დახმარებით დავიცავთ

ნათია ხურცილავა

საქართველოს მთავრობამ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონთან დაკავშირებით გუშინ გამართული მთავრობის სხდომაზე ახალი კანონპროექტი დაამტკიცა.

როგორც სხდომის შემდეგ ჟურნალისტებს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა განუცხადა, მომზადებული კანონპროექტით კანონის მოქმედ რედაქციაში ზოგიერთი პოზიციის გადახედვაა გათვალისწინებული.

– დღეს მთავრობამ დაამტკიცა კანონპროექტი, რომელიც განსახილველად პარლამენტს გადაეგზავნება და ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლას ეხება. კერძოდ, თუ ადამიანზე, რომელიც დაარღვევს ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის წესს, თავიდანვე ვრცელდება სისხლისსამართლებრივი დევნა, ჩვენ მიერ მომზადებული კანონპროექტით კი შემოგვაქვს ნორმა, რომლითაც თავდაპირველად პირის დასჯა ადმინისტრაციული წესით მოხდება. დანაშაულისთვის გათვალისწინებული იქნება ჯარიმა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, თუკი ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის წესის დარღვევა გამეორდება, – აღნიშნა ზაქარეიშვილმა.

მისი შეფასებით, პირის პირველივე დანაშაულის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემა არ მიაჩნია სწორად, რადგან ქართულ ციხეებში ამის გამო სხვადასხვა ქვეყნის არაერთი მოქალაქე ხვდებოდა.

ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაციის პროცესში ქართულმა მხარემ „იუნესკოს“ ექსპერტების ჩართვა უნდა უზრუნველყოს.

– საქართველოს ერთადერთი საშუალება იმისა, რომ ამ პროცესში ჩაერთოს, არის „იუნესკოს“ ექსპერტები და, ალბათ, კულტურის სამინისტრო ამ მიმართულებით იმოქმედებს. ჩვენ ეს ბერკეტი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ, რადგან ტაძრები არის უნიკალური და ამას ხაზი გაუსვა თავად ბატონმა ანქვაბმაც, – განუცხადა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ზაქარეიშვილმა ჟურნალისტებს აფხაზების დე ფაქტო პრეზიდენტის ალექსანდრე ანქვაბის განცხადების კომენტირებისას.

აფხაზეთის პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბის განცხადებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე მოქვის, ილორის და ბედიის ტაძრების რეკონსტრუქცია იწყება.

აფხაზეთის ტერიტორიაზე კულტურული ძეგლების რესტავრაციის საკითხს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრიც გამოეხმაურა.

კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ აღნიშნა, რომ აფხაზურ მხარეს დაუკავშირდება, როგორც ოდიშარიამ ჟურნალისტებს განუცხადა მოქვის, ილორისა და ბედიის ტაძრები უდიდესი მნიშვნელობის ტაძრებია ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვის.

რაც შეეხება მოქვსა და ბედიას, ოდიშარიას განმარტებით, ისინი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და აფხაზურ მხარეს საქართველო აუცილებლად შესთავაზებს თანამშრომლობას.

– აუცილებლად დავუკავშირდები აფხაზურ მხარეს, ჩემს რამდენიმე კოლეგას. ილორის ტაძარი, რომელიც შეკეთებულ იქნა და რომელიც ძალიან ცუდად იქნა გაკეთებული, ძველ სახეს დაიბრუნებს. ამიტომაც იყო ბატონი ანქვაბის განცხადებაში ხაზგასმით ილორის წმინდა გიორგის ტაძარზე საუბარი. მოქვისა და ბედიის ტაძარი ხელუხლებლად არის. როგორც ვიცი, ძალიან მძიმე და რთულ მდგომარეობაშია. ჩვენ თანამშრომლობას შევთავაზებთ ამ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, ჩვენ აუცილებლად შევატყობინებთ ევროპელ სპეციალისტებს, რომლებიც მზად არიან, დაგვეხმარონ. მე მგონია, რომ წარმატებას აუცილებლად მივაღწევთ, ერთადერთი, რაც ვიცი, ის არის, რომ აფხაზებს უნდათ, ამ ტაძრებს ძველი სახე დაუბრუნდეთ, – განაცხადა გურამ ოდიშარიამ.

პარლამენტი ახალ ელჩებს დაამტკიცებს

ნათია ხურცილავა

ახალი ელჩების სია, რომელზეც დიდი ხნის განმავლობაში სააკაშვილსა და ახალ ხელისუფლებას შორის მიმდინარეობდა ვაჭრობა, უკვე პარლამენტშია გადაგზავნილი. პარლამენტმა უკვე მოუსმინა ელჩობის კანდიდატებს და ისინი, სავარაუდოდ, მომდევნო სასესიო კვირას იქნებიან დამტკიცებულნი.

15 ელჩიდან, როგორც ცნობილია, სააკაშვილმა მხოლოდ 9 ელჩის გვარი გადაუგზავნა პარლამენტს. როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილისთვის დანარჩენი გვარები მიუღებელია. ქვეყნის პირველი პირისთვის მიუღებელთა სიაშია თედო ჯაფარიძისა და ლადო ჭანტურიას კანდიდატურებიც, რადგან პარლამენტში გადაგზავნილთა სიაში სწორედ ეს ორი ელჩობის კანდიდატი ვერ მოხვდა.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის თედო ჯაფარიძის კანდიდატურა დიდ ბრიტანეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პოსტზეა წარდგენილი, ლადო ჭანტურიას კანდიდატურა კი – გერმანიაში.

– საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში ელჩობის კანდიდატები უკვე წარდგენილია პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, მაგრამ პრეზიდენტის მიერ ჯერ არ არის პარლამენტში გადაგზავნილი. – განმარტავს ფანჯიკიძე.

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ელჩების სიის ნაწილზე საუბრობს, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა გადაუგზავნა პარლამენტს განსახილველად.

– საგარეო საქმეთა სამინისტრომ პრეზიდენტის ადმინისტრაციას გაუგზავნა ელჩების კანდიდატურების სია მთელ რიგ ქვეყნებში, პრეზიდენტმა მათი ნაწილი უკვე გადააგზავნა პარლამენტში და სწორედ ამ კანდიდატების მოსმენა შედგა. საპარლამენტო მოსმენაზე მიწვეული იყო ცხრა ქვეყნის ელჩობის კანდიდატი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს იქნება საინტერესო განხილვა და პარლამენტი ყველა კანდიდატურას დაუჭერს მხარს, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ნატოში საქართველოს ელჩს გეგა მგალობლიშვილს პოლიტიკური გადაწყვეტილება არ ეხება. ქვეყნის პირველმა დიპლომატმა მგალობლიშვილს როტაციის ვადამდე მუშაობის შესაძლებლობა მისცა.

– გეგა მგალობლიშვილი, საქართველოს ელჩი ნატოში რჩება დაკავებულ თანამდებობაზე მანამ, სანამ მას როტაციის ვადა არ ამოეწურება. როდესაც ვადა გაუვა, ეს იქნება ჩვეულებრივი პროცედურა, რომელიც არ უკავშირდება პოლიტიკურ პროცესს, – განუცხადა ჟურნალისტებს მაია ფანჯიკიძემ.

ვანო მერაბიშვილი პოლონელ არასამთავრობოებს შეხვდა

ფუშინ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავარ ოფისში, პარტიის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი პოლონური სამთავრობო ორგანიზაციის, „აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის“ დელეგაციას შეხვდა.

ოფიციალური ინფორმაციით, შეხვედრაზე განხილვის ძირითადი თემა იყო საქართველოში 1 ოქტმბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენები და დღევანდელი პოლიტიკური ვითარება. „აღმოსავლეთის კვლევების ცენტრი“ ექვემდებარება პოლონეთის პრემიერ-მინისტრის კანცელარიას და პასუხისმგებელი არის საერთაშორისო ურთიერთობების მონიტორინგსა და ანალიზზე

მედიანიუსი

ზუგდიდში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

ზუგდიდში, ერთმანეთს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები დაუპირისპირდნენ და დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში კოალიციის მხარდამჭერის ვახუშტი ფარცვანიას ბრიფინგი ჩაშალეს.

როგორც ფარცვანია აცხადებს, „ქართულ ოცნებაში“ გასაწევრიანებლად მან სპეციალური ანკეტა რამდენიმე თვის წინ შეავსო და პირადად ზუგდიდის ორგანიზაციის მაშინდელ თავმჯდომარეს ედიშერ თოლორაიას გადასცა. თუმცა რაიონული ორგანიზაციიდან ანკეტა ისე გაქრა, რომ იგი პარტიის მიღმა დარჩა.

ფარცვანიას ბრიფინგი სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა გაემართა, რა დროსაც კოალიციის მხარდამჭერთა ნაწილმა ბრიფინგი ჩაშალა და კამათი ურთიერთდაპირისპირებაში გადაიზარდა.

დაპირისპირებულმა მხარეებმა შენობის დატოვების შემდეგ კამათი შენობის გარეთ განაგრძეს. კოალიციის მხარდამჭერი ორი სხავადსხვა ფრთის წარმომადგენლები ერთმანეთს „ჩანერგილებს“ უწოდებდნენ და „ნაციონალური მოძრაობასთან“ ალიანსში სდებდნენ ბრალს.

ვახუშტი ფარცვანია ამავე დროს ორგანიზაცია „სამშობლოს მაძიებლის“ დამფუძნებელია.

მედიანიუსი

სომეხი კომუნისტების ლიდერი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარებას მიესალმება

სომხეთის კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი რუბენ ტოვმასიანი რუსეთის ფედერაციის გადაწყვეტილებას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარებასთან დაკავშირებით, სწორ ნაბიჯად მიიჩნევს. შესაბამისი განცხადება მან „ნოვოსტი არმენიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

„რუსეთი ერთმნიშვნელოვნად სწორად მოიქცა, როდესაც ეს სახელმწიფოები აღიარა“, – განაცხადა მან და დასძინა, დრო მოვა და რუსეთი მთიანი-ყარაბაღის დამოუკიდებლობასაც სცნობს.

მედიანიუსი

ოქრუაშვილი სააკაშვილისაგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას მოითხოვს

საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირკალი ოქრუაშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისაგან ბოდიშის მოხდას საჯაროდ მოითხოვს. ეს განცხადება ოქრუაშვილმა გუშინ გამართული სასამართლო პროცესის შემდეგ გააკეთა, რომელზეც მას ბოლო, რიგით მე-4, სამსახურეობრივი გულგრილობის შესახებ წაყენებული ბრალდებაც მოუხსნეს.

„ამ 5 წლის განმავლობაში, ჩემს მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება, ერთ დღეში გაბათილდა. ეს იყო შეთითხნილი ბრალდებები ასე, რომ სააკაშვილისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას ველი“, – განაცხადა ოქრუაშვილმა.

მედიანიუსი

ზუგდიდელი ექიმები დაზღვეული პაციენტების მომსახურებაზე უარის თქმით იმუქრებიან

ზუგდიდის მრავალპროფილური საავადმყოფო „ რესპუბლიკის“ ექიმები 2 თვის გაუცემელი ხელფასების დარიგებას მოითხოვენ.

მათი თქმით, საავადმყოფოს ადმინისტრაცია ხელფასებს დავალიანების გამო ვერ გასცემს, რომელიც სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფს“ აქვს, სადაც პაციენტების ნაწილია დაზღვეული.

აღნიშნული მოთხოვნით ექიმები გუშინ საავადმყოფოს საკონფერენციო დარბაზში შეიკრიბნენ და მოთხოვნები საავადმყოფოს ადმინისტრაციას გაცნეს. წერილობით კისაქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტს მიმართეს ,რომ თუ ხელფასებს არ გადაუხდიან, ორშაბათიდან „აი სი ჯგუფის“ დაზღვეულ პაციენტებს არ მიიღებენ. მედპერსონალი კომპანია „აი სი ჯგუფის“ ფინანსური გამოძიების ინიციატივითაც გამოდის.

საავადმყოფოს ადმინისტრაციული მენეჯერი პაატა ადამია კი ხელფასების გაუცემლობის მიზეზად „აი სი ჯგუფის“ დავალიანებას ასახელებს და აცხადებს,რომ სანამ „აი სი ჯგუფი“ თანხას არ გადაურიცხავს საავადმყოფოს მანადე ხელფასები ვერ გაიცემა.

მედიანიუსი

ირმა ნადირაშვილი: „ჩემი და პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს“

საპარლამენტო უმცირესობის წევრის, ირმა ნადირაშვილის თქმით, გუშინდელ საპარლამენტო დებატებზე მისი გამოსვლის შემდეგ, სადაც მან ახალი ხელისუფლების ლიდერებს ნეპოტიზმში დასდო ბრალი, მისი და პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს.

როგორც ნადირაშვილმა „მედიანიუსს“ განუცხადა, მისი და ქვემო ქართლში ჯანდაცვის სამინისტროს სააგენტოში მუშაობს.

„ტელეფონზე დაურეკეს პროკურატურიდან და 18:00 საათზე დაიბარეს დაკითხვაზე რუსთავში. ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, ჩემს გუშინდელ საპარლამენტო გამოსვლას ვუკავშირებ“, – განუცხადა „მედიანიუსს“ ნადირაშვილმა, რომელიც ფიქრობს, რომ პროკურატურამ საპარლამენტო უმრავლესობის იმ წევრების დავალება შეასრულა, ვინც გუშინდელ პლენარულ სხდომაზე მის დას ახსენებდნენ.

საქართველოს მთავარ პროკურატურაში ნადირაშვილის დის დაკითხვაზე დაბარების ფაქტი უარყვეს.

„მედიანიუსი“ პროკურატურის პრესსამსახურის წარმომადგენელმა, ხათუნა პაიჭაძემ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში გადაამისამართა, სადაც განაცხადეს, რომ ამ ინფორმაციას გადაამოწმებენ.

შეგახსენებთ, რომ ირმა ნადირაშვილმა ახალი ხელისუფლებისა და საკანონმდებლო ორგანოს წევრები, ირაკლი ღარიბაშვილი, მანანა კობახიძე, ეკა ბესელია, თამაზ თამაზაშვილი, მაია ფანჯიკიძე, მურმან დუმბაძე და სხვები გუშინ ნეპოტიზმში და საკუთარი ნათესავების საჯარო სამსახურში კონკურსის გამოცხადების გარეშე დასაქმებაში დაადანაშაულა.

უმცირესობის წარმომადგენლის განცხადებას „ქართული ოცნების“ წევრმა დავით ლორთქიფანიძემ უპასუხა.

„ძალიან დიდი სისტემაა ჯანდაცვის სისტემა და ჩვენ კარგად მოგვეხსენება ამ სისტემაში ირმა ნადირაშვილის დაიკო სად და რომელი დეპარტამენტის ხელმძღვანელად მუშაობდა. ასევე გვახსოვს ის ბიზნესები, რომელსაც ქალბატონი ირმა მოყოლებული რუსეთავი-2 -დან აკონტროლებდა და დღესაც აკონტროლებს. ამასთან დაკავშირებითაც ვფიქრობ, რომ ყველაფერი დღესავით ნათელია“, – განაცხადა ლორთქიფანიძემ.

მედიანიუსი

დეპუტატებს განცხადებების გასაკეთებლად მეტი დრო დაეთმობათ

დეპუტატმა ნუკრი ქანთარიამ პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივა შეიტანა, რომლის თანახმად, დეპუტატებს განცხადებების გასაკეთებლად მეტი დრო დაეთმობათ.

საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით, დეპუტატებს განცხადებების გაკეთება პლენარული სხდომების კვირაში ორჯერ, ოთხშაბათსა და პარასკევს შეეძლებათ, აქამდე კი მხოლოდ ოთხშაბათს იყო შესაძლებელი.

როგორც საპროცედურო საკითხთა კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე გადაწყდა, განცხადებებისთვის განკუთვნილი 30 წუთიდან თითო გამმსვლელს სამი წუთი დაეთმობა.

საპარლამენტო უმცირესობა აღნიშნულ ინიციატივას მიესალმა, თუმცა უმცირესობასა და უმრავლესობას შორის განცხადებებისთვის განკუთვნილი დროის ობიექტურად გადანაწილება მოითხოვა.

მოქმედი პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, დეპუტატებს განცხადებების გაკეთება მხოლოდ პლენარულ სხდომებზე, ოთხშაბათს შეუძლიათ. განცხადებებისათვის ნახევარი საათია გათვალისწინებული, ხოლო კიდევ ნახევარი საათით დეპუტატების განცხადებებისათვის დროის დამატების გადაწყვეტილებას პარლამენტის თავმჯდომარე იღებს.

მედიანიუსი

ვინ დაიცავს დაზღვეულთა უფლებებს

მერი ნამორაძე

პაციენტის უფლებების დაცვას სამედიცინო მედიაციის სამსახური აპირებს. გარდა პაციენტის უფლებებისა, ეს სამსახური დაზღვეული მოქალაქეების უფლებებსაც დაიცავს და სამედიცინო დაწესებულებებსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის ურთიერთობასაც მოაწესრიგებს. განხილული იქნება როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების მომართვები. როგორც სამსახურის ხელმძღვანელი სოფიო ლებანიძე აცხადებს, დაცული იქნება პაციენტის კონფიდენციალურობა, გარანტირებული იქნება მიუკერძოებლობა, დავა შეიძლება განიხილოს ერთმა ან რამდენიმე მედიატორმა. პროცესში სულ სამი მედიატორი იქნება ჩართული — იურისტი, ფინანსისტი-ეკონომისტი და ექიმი.

31 იანვრის მდგომარეობით, სამედიცინო მედიაციის სამსახურს 6536 ფიზიკურმა პირმა მიმართა. მომართვების ორი მესამედი საინფორმაციო კითხვებზე მოდიოდა, მაგალითად, განმარტებებზე, თუ რა მოცულობის სამედიცინო მომსახურებას მოიცავდა ან რა წესსა და პროცედურებს ექვემდებარებოდა კონკრეტული სადაზღვევო პოლისი. მომართვების ერთი მესამედი კი არასაინფორმაციო კითხვებს შეეხებოდა, როდესაც სადაზღვევო შემთხვევის ადეკვატური რეგულირება ხდებოდა საჭირო.

მედიაციის სამსახურმა სულ განიხილა 53 სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც ითვალისწინებდა 3,5 მილიონი ლარის ფინანსური დავის განხილვას. აქედან შემთხვევის 69% მორიგებით დასრულდა. 2012 წლის დეკემბერში პირველად შეიკრიბა სამედიცინო მედიაციის საბჭო რეკომენდაციის მისაღებად. საბჭოს ორ სხდომაზე განხილულ იქნა 3 სასარჩელო დავა და მიღებულ იქნა შესაბამისი რეკომენდაცია. მედიაციის სამსახურის რეკომენდაციის შეუსრულებლობის ფაქტი ჯერჯერობით არ დაფიქსირებულა და არც გასაჩივრებულა სასამართლოში.

სოფიო ლებანიძე:

– ნებისმიერმა დაზღვეულმა, ნებისმიერმა პაციენტმა, ფიზიკურმა პირმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენი სამსახური არის მათი უფლებათა დამცველი. თუ პაციენტი მიიჩნევს, რომ მისი უფლება დაირღვა სამედიცინო დაწესებულების მიერ ან დაზღვეული თვლის, რომ მან ვერ მიიღო სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული მომსახურება, უნდა მომართოს მედიაციის სამსახურს. ჩვენ კომპეტენტურად, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე შევისწავლით ნებისმიერ მომართვას, დავადგენთ, დაირღვა თუ არა პაციენტის ან დაზღვეულის უფლება. იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია მისი უფლება, მიიღებს ზიანის ანაზღაურების კომპენსაციას ან იმ ანაზღაურებას, რომელიც მას ეკუთვნოდა სამედიცინო დაწესებულების მხრიდან, ანა სადაზღვევო კომპანიიდან.

– კერძო პირების პრეტენზიები ერთობ გაზვიადებული ხომ არ არის სამედიცინო დაწესებულებების მიმართ?

– სწორედ იმიტომ, რომ არ მივცეთ კვალიფიკაცია პრეტენზიას – გაზვიადებულია თუ არა, ჩვენმა სამსახურმა მომართვები ორ კატეგორიად გაყო. ეს არის საინფორმაციო და არასაინფორმაციო. პირველ შემთხვევაში მოქალაქე გვიკავშირდება, ის მიიჩნევს, რომ მისი უფლება არის დარღვეული და მიეწოდება განმარტებები. საკითხის მოკვლევა არ გრძელდება, რადგან პირველივე შეტყობინების საფუძველზე არ იკვეთება მისი უფლების დარღვევა. მეორე შემთხვევაში არსებობს ვარაუდი, რომ საჭიროა დამატებითი მოკვლევა და მისი უფლების დაცვა. არასაინფორმაციო შემთხვევები მთლიანი მომართვების 34 პროცენტს შეადგენს. 66 პროცენტში გვაქვს მომართვების ის რაოდენობა, როცა პაციენტსა და დაზღვეულს სჭირდება ინფორმაცია. როცა ადეკვატურად ვაწვდით ინფორმაციას მოქალაქეებს, ეს გამორიცხავს იმ დავებს, რომლითაც შეიძლება წარმოიშვას მისი უფლების დარღვევა.

– კონკრეტულად რა პრეტენზიები აქვთ პაციენტებს?

– არის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემა ამბულატორიულ მომსახურებაზე. ეს არის პრეტენზიების მნიშვნელოვანი ნაწილი. არის პრეტენზიები ასევე გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურებისა და გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურების ნაწილში. მაგრამ ამ პრეტენზიებში რამდენია დარღვევა, ეს უკვე ცალკე მონაცემებია, რომელიც ანგარიშში გამოქვეყნდება. თუმცა, მხოლოდ დარღვევის იდენტიფიცირებით არ სრულდება პროცესი, ჩვენ ამ ადამიანის უფლება უნდა დავიცვათ ბოლომდე, არა მხოლოდ დამრღვევის იდენტიფიცირებით. ამიტომ მივყვებით პროცესს, როცა ზიანის ანაზღაურების კომპენსაციას ვახორციელებთ. შემიძლია გითხრათ მაგალითი, როცა მოგვმართა პაციენტმა, რომელიც ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში გადაუდებელი დახმარების საჭიროებით მოხვდა. ეს ადამიანი იყო ერთ-ერთი სახელმწიფო ვერტიკალური პროგრამის მოსარგებლე. სამედიცინო დაწესებულებამ არ გაითვალისწინა პაციენტის ასაკობრივი ჯგუფი და არ მოახდინა მისი იდენტიფიკაცია, როგორც სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლედ. კორპორატიული სადაზღვევო კონტრაქტით იყო დაზღვეული, მზღვეველი იღებდა 25%-ით დაფინანსების ვალდებულებას. მთლიანი სამედიცინო მომსახურების 75%, რაც ამ ადამიანს ეკუთვნოდა, უნდა დაფარულიყო სახელმწიფო პროგრამის მიერ, 25% – კერძო მზღვეველის მიერ. როცა დადგინდა ამ ზიანის ფაქტი, შედგა სამედიაციო პროცესი, შემთხვევა გატანილი იყო სამედიცინო მედიაციის საბჭოზე, გაიცა რეკომენდაცია კლინიკის მიმართ და პაციენტს დაუბრუნდა გადახდილი თანხა. ბევრი ცხოვრებისეული შემთხვევებია, როცა კონკრეტული ადამიანი ვერ იღებს იმ სარგებელს, რომელსაც ჯანდაცვის სისტემს სთავაზობს და ჩვენ უნდა დავიცვათ მათი უფლებები.

– გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ჩარევის შემთხვევაში, რამდენად სწრაფად ხდება პაციენტის გადამისამართება?

– ყველა კრიტერიუმს შესაბამისი რეგულაცია გააჩნია. დღეს მოქმედი რეგულაციით 30 წუთის სავალზე პაციენტმა უნდა მიიღოს ამბულატორიული მომსახურება. იმ შემთხვევაში, თუ ეს პირობა დაარღვია სადაზღვევო კომპანიამ და არ გაითვალისწინა საცხოვრებელი მისამართი, მიამაგრა იმ პოლიკლინიკასთან, რომელიც პირობითად ერთი საათის სავალზეა საცხოვრებელი მისამართიდან, ნიშნავს, რომ მისი უფლება დაირღვა. ეს არის უკვე დარღვევის იდენტიფიცირება, როცა მზღვეველმა დაუყოვნებლად უნდა უზრუნველყოს ვალდებულების შესრულება.

– სადაზღვევო კომპანიების მიერ სამედიცინო დაწესებულებების მიმართ დავალიანების დაგროვების მიზეზებზე რას გვეტყვით? ობიექტური მიზეზები არსებობს თუ სუბიექტური?

– ობიექტური მიზეზები უფრო იშვიათია, ვიდრე არაობიექტური. ობიექტური მიზეზი შეიძლება იყოს ძალიან მცირე პროცენტი, როცა არ ხდება დროულად შესრულებული სამუშაოს წარდგენა მზღვეველთან. ასეთი შემთხვევები უფრო ნაკლებია, ვიდრე ის, რომ მზღვეველი აგვიანებს ანგარიშსწორებას. ეს არის დარღვევა. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ თუ სადაზღვევო კომპანიამ არ უზრუნველყო დროულად შესრულებული სამუშაოს მიღება, ინსპექტირება, დროული გადახდა და, თუ ეს პროცესი არ უზრუნველყო, ეს არის ცალსახად დარღვევა სადაზღვევო პირობისა და მთავრობის იმ დადგენილების, რომლითაც მათ ეს ვალდებულება დაეკისრათ.

რეგულირებები, რაც მოგახსენეთ, ამოქმედდა პირველი სექტემბრიდან. 3,5 მილიონი ლარის ფინანსური დავა, რაც მედიაციის სამსახურმა განიხილა, ძირითადად მარტიდან სექტემბრამდე პერიოდში იყო წარმოშობილი. ახლა ველოდებით მომართვებს, როცა სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბერში შესრულებული სამუშაოს ანგარიშგება არის სადავო და ამ ნაწილში მზღვეველებს, სავარაუდოდ, უკვე დაეკისრებათ საჯარიმო სანქციები.

– სამედიცინო დაწესებულება თუ „დაგისჯიათ“ ჯარიმით?

– არა, გვქონდა შემთხვევა, როცა სამედიცინო დაწესებულებამ აუნაზღაურა ზიანი პაციენტს.

– საექიმო საქმიანობის დაზღვევაზე რას გვეტყვით, რამდენად ეფექტური იქნება ეს პროცესი?

– საექიმო საქმიანობის დაზღვევა საკმაოდ საინტერესო შეთავაზებაა, რამდენად საინტერესო იქნება ეს სამედიცინო საზოგადოებისთვის ამას დაკვირვება გვაჩვენებს. უნდა ვნახოთ, როგორი იქნება მოთხოვნა ამ შეთავაზების მიმართ. თუმცა, ერთი რამ უნდა ვთქვათ, რომ დღეს მედიაციის სამსახური იცავს პაციენტის უფლებებს, აწესრიგებს კლინიკასა და მზღვეველს შორის ურთიერთობებს, მაგრამ, სამწუხაროდ, არსად ჩანს ექიმის უფლების დაცვა. სადაზღვევო პროდუქტი მათ უფლებას გარკვეულწილად იცავს, რამდენადაც ძალიან მაღალი რისკის შემცველი საქმიანობაა.

დეპუტატებს განცხადებების გასაკეთებლად მეტი დრო დაეთმობათ

გოეთეს ინსტიტუტში კითხვის დღე მოეწყობა

ეკა ირემაშვილი

9 თებერვალს გოეთეს ინსტიტუტი იწყებს აქციას, რომელიც წიგნის კითხვასთან არის დაკავშირებული. როგორც პროექტის კურატორი ეკა წერეთელი აცხადებს, გოეთეს ინსტიტუტი აძლევს საშუალებას ყველას ერთად, წაიკითხონ, ნახონ და შეიგრძნონ გერმანულენოვანი საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა.

– გოეთეს ინსტიტუტი ბავშვებსა და მოზარდებს, მათ მშობლებსა და ყველა დაინტერესებულ პირს იწვევს „კითხვის დღეზე“. ამ დღეს გოეთეს ინსტიტუტი გთავაზობთ ღონისძიებებს, რომელიც მიეძღვნება გერმანულენოვან საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურას. პროგრამა მრავალფეროვანია და გათვლილია სხვადასხვა წლოვანების ბავშვებზე. ზოგი ღონისძიება საჭიროებს გერმანული ენის კარგ ან მცირე ცოდნას, რამდენიმე ღონისძიება კი ქართულად წარიმართება. შეარჩიეთ ღონისძიებები ჩვენი პროგრამიდან და გაატარეთ ერთი ლიტერატურული დღე თქვენს შვილებთან ერთად გოეთეს ინსტიტუტში! ღონისძიებები მოიცავს ლიტერატურას წასაკითხად და მოსასმენად, ასევე გერმანულენოვან წიგნებს ბავშვებისა და მოზარდებისათვის დასათვალიერებლად, წასაკითხად და მოსასმენად. სექციაში ლიტერატურა სცენაზე გადატანილი იქნება ჰელმე ჰაინეს საბავშვო წიგნი „ულამაზესი კვერცხი მსოფლიოში“, რომელიც სპექტაკლის სახით იქნება წარმოდგენილი და მას სკოლა „მთიების“ მეხუთე კლასის მოსწავლეები წარმოადგენენ. სპექტაკლის რეჟისორი თამარ გამსახურდიაა. სპექტაკლის შესავალი ქართულ ენაზეა, ხოლო წარმოდგენა გერმანული ენაზე იქნება გათამაშებული. გოეთეს ინსტიტუტის დიდ დარბაზში ნახატი წიგნების სლაიდშოუ მოეწყობა. ნახატი წიგნების სლაიდშოუ საშუალებას იძლევა, რომ ბავშვების ჯგუფმა შერჩეული წიგნის ტექსტის მოსმენის დროს ამ წიგნის ილუსტრაციებსაც ადევნოს თვალი დიდ ეკრანზე. წიგნის კითხვისა და ჩვენების ეს ფორმა განსაკუთრებით მიზანშეწონილია მცირეასაკის ბავშვებისათვის. პროექტი გათვლილია 3-დან 8 წლამდე ბავშვებისთვის. კითხვის დღეს გოეთეს ინსტიტუტში განხორციელდება სხვადასხვა პროექტი, რომელიც მოიცავს წიგნის გაცნობას, ხატვასა და ხელსაქმეს. რუსუდან მამფორია 4 წლის ბავშვებისთვის ქართულად წაიკითხავს იანოშის წიგნს „ო, რა მშვენიერია პანამა!“, მწერალი და მთარგმნელი ანა კორძაია-სამადაშვილი ქართულად წაიკითხავს ნაწყვეტს კორნელია ფუნკეს წიგნიდან „ქურდების მბრძანებელი“, რომელიც ბავშვებისთვის 10 წლიდან არის განკუთვნილი, კითხვის შემდეგ გაიმართება დისკუსია. ასევე ჩატარდება ლიტერატურული ვორკშოპები გააკეთე თვითონ და მისი სახელწოდებაა „ზღაპრის სამყაროში“. ვორკშოპებს ნინო ყარალაშვილი და შორენა კვანჭიანი გერმანულად წარუძღვებიან და ეს პროექტი 8-დან 14 წლამდე ბავშვებზეა გათვლილი. ია ზეინაბიშვილი წარ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ჯუმბერ თავართქილაძე: „სააკაშვილმა დევნილები და ეკომიგრანტები ერთმანეთთან დააპირისპირა“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

– თუმცა, ბატონო ჯუმბერ, ტელეკადრებში გადაყრილი მანდარინი გაფუჭებულს არ ჰგავდა. უფრო კარგ მანდარინს ჰგავდა. ხელოვნურად ხომ არ გააკეთეს და სპექტაკლი ხომ არ დადგეს-მეთქი?

– მათი მხრიდან ამის გაკეთება გამორიცხული არ არის. სამწუხაროდ, მე კადრები არ მინახავს, თორემ ფაქტის გადამოწმებას შევძლებდი. ნაციონალურ მოძრაობას 5-6% მომხრე ჰყავს და ვიღაც 100 კილოგრამ მანდარინს გაიმეტებდა და გადაყრიდა. სააკაშვილის ხელისუფლებისაგან ასეთი ქმედება არახალია. არა მგონია, ვინმეს გაუკვირდეს, სააკაშვილის დავალებით ვიღაცას მსგავსი ქმედება ჩაედინა. თუმცა, მე კადრები არ მინახავს და ვერ ვიტყვი, რომ ეს ნამდვილად ასე იყო. როგორც ვიცი, ახალმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მოსახლეობიდან ციტრუსი გასულიყო.

– სხვათა შორის, მიშას შეარქვეს მიშა ვადაგასული. მას პარლამენტისთვის ანგარიში უნდა წარედგინა, მაგრამ უარი უთხრეს. თუმცა, დღეს მიშა ვადაგასულმა საზოგადოებას ანგარიშს მაინც უნდა წარუდგინოს 2012 წელში თავისი „მოღვაწეობის“ თაობაზე. თქვენ როგორ აფასებთ, საერთოდ, მის მოღვაწეობას? შესაძლებლობა რომ მოგცემოდათ, რა კითხვას დაუსვამდით?

– რა სინდისით უნდა მისულიყო პარლამენტში, ვერ გეტყვით, მაგრამ, როდესაც ადამიანს სინდისის ძარღვი გაუწყდება, მისგან ყველაფერი მოსალოდნელია. მე მის ადგილზე ნამდვილად ცუდ მდგომარეობაში ვიქნებოდი. საშუალება რომ მქონოდა, შევეკითხებოდი, რას ერჩოდა ქართველ ხალხს და საქართველოს, 8 წლის განმავლობაში ქვეყანა ჯურღმულად რომ გადააქცია? ქუჩაში რომ დავდიოდით, თითქოს თავისუფლები ვიყავით, სინამდვილეში ერთ დიდ ციხეში ვიმყოფებოდით. მართალია, გისოსები არ ჰქონდა შემორტყმული. მაგრამ საქართველო, მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის გამოისობით, დიდ ციხედ იყო ქცეული. მისი პარტიის გენმდივანმა მერაბიშვილმა განაცხადა, დღევანდელ ხელისუფლებას 4 წელი ვერ დაველოდებითო და თურმე არჩევნების გარეშეც შეუძლიათ მისი შეცვლა. მისი განცხადება ანტიკონსტიტუციურია. ჩვენი ოპოზიციაში ყოფნის პერიოდში ვინმეს ეს რომ ეთქვა, მასზე სისხლის სამართლის საქმეს აღძრავდნენ.

– ნაცები გაფიქრებაზეც აღძრავდნენ საქმეს.

– მერაბიშვილმა თქვა, ჩვენ შეგვიძლია, ანტიკონსტიტუციური მეთოდებით დავამხოთ ხელისუფლებაო. როგორც პრეზიდენტს, საკუთარი პარტიის გენმდივანი ასეთ განცხადების გამო ხომ უნდა დაესაჯა, ხომ უნდა გამოსულიყო და გაესწორებინა მისი განცხადება? აქედან ჩანს, რომ ისინი არაადეკვატურები არიან და მათ დაკარგეს რეალობის შეგრძნება.

სერგო ფარაჯანოვის „ბროწეულისფერი გამოფენა“ თბილისშია

ეკა ირემაშვილი

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში 9 თებერვალს სერგო ფარაჯანოვის დაბადების დღეზე მისივე ნამუშევრების გამოფენა გაიმართება სახელწოდებით „ბროწეულისფერი გამოფენა“. ღონისძიება მუზეუმისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდება.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება კერძო კოლექციებსა და ოჯახებში დაცული ნამუშევრები.

ცნობილია, რომ სომხური წარმოშობის ქართველი და საბჭოთა კინორეჟისორის სერგო ფარაჯანოვის ნამუშევრები ძირითადად კავკასიის ეთნიკურ მრავალფეროვნებას ასახავს. მისი პირველი მნიშვნელოვანი ნამუშევარი იყო „მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები“, რომელმაც საერთაშორისო აღიარება ჰპოვა მისი ფერადოვნებით, კოლორიტული კოსტიუმებითა და სოფლის ცხოვრების უცნაური აღწერით, ხოლო ნამუშევარმა „ბროწეულის ფერი“, რომელიც თბილისელი პოეტის საიათნოვას ცხოვრებას ასახავს, საბჭოთა მთავრობა განარისხა, რადგან, მათი აზრით, ფილმი დელიკატურ ნაციონალურ საკითხებს ეხებოდა.

გამოფენის გახსნაზე მუზეუმში წარმოდგენილი იქნება საქართველოში შემორჩენილი სერგო ფარაჯანოვის შერეული ტექნიკით შესრულებული ნახატები, ფერწერული ტილოები და მის მიერვე შექმნილი კინოკოსტიუმები. ნამუშევრები კერძო კოლექციებიდან რამდენიმე დღით არის გამოტანილი ოჯახებიდან და კერძო კოლექციებიდან ათდღიანი გამოფენისთვის. მთლიანობაში გამოფენაზე 50-მდე ნამუშევარი იქნება წარმოდგენილი.

სერგო ფარაჯანოვის ცხოვრება სავსე იყო წინააღმდეგობებითა და პრობლემებით. რეჟისორმა თათარ გოგონაზე იქორწინა, მაგრამ მალე გოგონა ნათესავებმა უცხოელზე ქორწინებაში დაადანაშაულეს. პირადი ცხოვრების სირთულეების პარალელურად, სერგო ფარაჯანოვი ორ ფილმზე მუშაობდა – იგორ სავჩენკოს „მესამე გაელვება“ და „ტარას შევჩენკო“, მოგვიანებით კი მუშაობა დაიწყო ვლადიმერ ბრაუნის „მაქსიმკაზე“. მისი პირველი მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მოლდავური ამბავი“ იყო, რაც მოგვიანებით იაკოფ ბაზელიანთან ერთად სრულმეტრაჟიან ფილმად „ანდრიუშად“ გადააკეთა. რეჟისორმა მეორედ იქორწინა უკრაინელ სვეტლანა შერბატიუკზე და შეეძინათ ერთადერთი შვილი, სურენი. სამწუხაროდ, არც ეს ქორწინება აღმოჩნდა მყარი და რეჟისორი მეორე მეუღლესაც გაშორდა, თუმცა მასთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნა.

საერთაშორისო აღიარება რეჟისორს მოუტანა ფილმმა „მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები“. კინომცოდნეები ნამუშევარმა ფერადოვნებით, კოლორიტული კოსტიუმებითა და სოფლის ცხოვრების უცნაური აღწერით აღაფრთოვანა. ამ ფილმმა მრავალი საერთაშორისო კინოჯილდო მოიპოვა, მათ შორის ბრიტანული კინოაკადემიის ჯილდო. მისი ეს ფილმი არ ჯდებოდა საბჭოთა კინოს სტანდარტებში, რის გამოც სერგო ფარაჯანოვი „შავ სიაში“ აღმოჩნდა. რეჟისორმა საქართველო დატოვა და საცხოვრებლად სომხეთში გადავიდა, სადაც გადაიღო დოკუმენტური ფილმი „იაკობ ჰოვნათანიანი“, რასაც მოჰყვა კინოშედევრად აღიარებული „საიათნოვა“. საბჭოთა იდეოლოგიამ ეს ფილმიც დაიწუნა, მოგვიანებით რედაქტირებულ იქნა და გამოვიდა ახალი სათაურით „ბროწეულთა ფერი“.

გასული საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს კინორეჟისორად მიჩნეული რეჟისორი ჰომოსექსუალიზმის ბრალდებით დააპატიმრეს და 5 წლით შრომა-გასწორებით კოლონიაში გააგზავნეს. მისი დაპატიმრება მრავალმა ცნობილმა ადამიანმა, ხელოვანმა, მწერალმა თუ რეჟისორმა გააპროტესტა, თუმცა იგი მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ გაათავისუფლეს ფრანგი სიურეალისტ ლუი არაგონის მეოხებით. სანამ თბილისში ცხოვრობდა, მას ფილმების გადაღება აკრძალული ჰქონდა, თუმცა გასული საუკუნის 80-იან წლებში ნება დართეს, გადაეღო „ამბავი სურამის ციხისა“, ასევე „აშუღი ქერიბი“ და დაუმთავრებელი ავტობიოგრაფიული სერია „აღიარებისა“, რომელიც შემდგომში მიხაილ ვართანოვის ფილმის „ფარაჯანოვი, ბოლო გაზაფხული“ ნაწილი გახდა.

სერგო ფარაჯანოვი ერევანში კიბოს დაავადებით გარდაიცვალა. მისი სახლ-მუზეუმი ფუნქციონირებს სომხეთში, საქართველოში კი – არა. ძველ თბილისში დგას მისი ძეგლი. ქართული სახელოვნებო წრე ინიციატივით გამოდის, რომ იმ სახლში, სადაც სერგო ფარაჯანოვი ცხოვრობდა, გაკეთდეს მისი სახლ-მუზეუმი. სერგო ფარაჯანოვის შემოქმედებისა და პიროვნების პოპულარიზაციით აქტიურად არის დაკავებული ფოტოგრაფი იური მეჩითოვი, რომელმაც აღიარებულ რეჟისორს სპეციალური ნამუშევრები მიუძღვნა.

გურამ ოდიშარია აფხაზებთან მოლაპარაკებას იწყებს

ეკა ირემაშვილი



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებას იწყებს. მოლაპარაკების თემა ილორის ტაძრის რეკონსტრუქციის საკითხებია.

მინისტრმა ამის შესახებ ინფორმაცია მთავრობის სხდომის დაწყებამდე გააჟღერა.

– დღეს დავუკავშირდები აფხაზეთში რამდენიმე კოლეგას და იმედი მაქვს, რომ წარმატებას მივაღწევ. მჯერა, რომ ილორი დაიბრუნებს ძველს სახეს. ისიც უნდა ვთქვა, რომ, როცა პირველად ილორი ვნახე, რესტორანი მეგონა. ილორი დაემსგავსა უცნაურ შენობას, ამიტომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კულტურის სამინისტრო ინფორმაციას აუცილებლად მიაწვდის იუნესკოსა და ევროპელ კოლეგებს. დარწმუნებული ვარ, რომ ქართული მხარე ამ მოლაპარაკების პროცესში წარმატებას მიაღწევს. ამ საკითხთან დაკავშირებით აუცილებლად შევატყობინებთ ევროპელ სპეციალისტებს, რომლებიც მზად არიან, დაგვეხმარონ და, იმედი მაქვს, წარმატებას მივაღწევთ. ილორის საკითხზე აფხაზურ მხარესთან ადრეც მქონდა კონსულტაციები, თუმცა შედეგს ვერ მივაღწიე. ჩვენ ვცდილობდით, ერთად გაგვეკეთებინა რეკონსტრუქცია, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, რადგან ვერ მოხერხდება შეთანხმება, თუ საიდან უნდა შესულიყვნენ უცხოელი სპეციალისტები სოჭიდან თუ აფხაზეთის მხრიდან, – განაცხადა კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ.

ამ საკითხის გააქტიურება მას შემდეგ დადგა აუცილებელი, რაც აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა ალექსანდრე ანქვაბმა ბედიის, მოქვისა და ილორის ტაძრების რეკონსტრუქციის განკარგულება გასცა. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიული ნიმუშების მდგომარეობა ამჟამად იმდენად მძიმეა, რომ სეპარატისტები ამ საკითხზე უახლოეს მომავალში უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევასაც გეგმავენ. აფხაზეთის ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივნის სტანისლავ ლაკობას თქმით, უშიშროების საბჭოს სხდომა ამგვარ საკითხს პირველად მიეძღვნება.

როგორც აფხაზური მედია იტყობინება, ალექსანდრე ანქვაბმა თათბირზე აღნიშნა:

– დღეს სახელმწიფოს ყველანაირი საშუალება გააჩნია იმისათვის, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების რეკონსტრუქციასა და აღდგენაზე მასშტაბურად იზრუნოს. მივმართავ მეცნიერებს და ბედიის, მოქვისა და ილორის ტაძრების რეკონსტრუქციის წინადადებების შემუშავებას ვავალებ, ასევე მოვითხოვ ლიხნის ტაძრის გადახურვის შესახებ დასკვნის გაკეთებას. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ უძველესი ობიექტები ქვების გროვად იქცეს და ახალგაზრდა თაობამ არაფერი იცოდეს ჩვენი მდიდარი ისტორიის შესახებ, – აღნიშნა ალექსანდრე ანქვაბმა.

ნათელა ურუშაძე დიდუბის პანთეონში დაკრძალეს

ეკა ირემაშვილი

თეატრმცოდნე და პედაგოგი, რუსთაველის თეატრის მსახიობის გოგი გეგეჭკორის მეუღლე ნათელა ურუშაძე 90 წლის ასაკში გარდაიცვალა. თეატრალური ინსტიტუტის დასრულების შემდეგ ლუნაჩარსკის ინსტიტუტში სწავლობდა. მან არაერთი წიგნი და პუბლიკაცია მიუძღვნა ქართულ თეატრსა და ცნობილ ქართველ მსახიობებს. მათ შორის აღსანიშნავია „სესილია თაყაიშვილი“, „მედეა ჯაფარიძე“, „ელენე ახვლედიანი“, „სახლი სათამაშო“, „მეორე სიცოცხლე“, „წავედით თეატრში“, „ფრიდრიხ შილერი ქართულ სცენაზე“, „ქართული თეატრის ამბავი“.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი დიდუბის პანთეონში მეუღლის გოგი გეგეჭკორის გვერდით დაკრძალეს. სამძიმრის წერილი გაავრცელა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, რომელშიც ნათქვამია:

– გარდაიცვალა ქართული თეატრის გამოჩენილი მოღვაწე, ცნობილი თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ნათელა ურუშაძე. სამინისტრო სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, კოლეგებსა და მის მიერ აღზრდილ თეატრალთა თაობების წარმომადგენლებს.

სამძიმარი გამოუცხადა ნათელა ურუშაძის ოჯახს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმაც:

– მწუხარება მინდა გამოვთქვა ცნობილი თეატრმცოდნისა და პედაგოგის ნათელა ურუშაძის გარდაცვალების გამო და სამძიმარი ვუთხრა მის ოჯახსა და მთელ თეატრალურ საზოგადოებას. კიდევ ერთი ადამიანი წავიდა იმ თაობიდან, რომელმაც გასული საუკუნის 60-იან წლებში ქართული თეატრი სრულიად ახალ საფეხურზე აიყვანა. დიდია მისი ღვაწლი ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში. მთელი თავისი ცხოვრება ნათელა ურუშაძემ ქართული თეატრის ისტორიისა და თანამედროვეობის კვლევას მოახმარა, მან არა ერთი თაობა გაზარდა და შეაყვარა თეატრი. ამაგდარი მეცნიერისა და პედაგოგის ნათელა ურუშაძის სამეცნიერო კვლევებსა და ნაშრომებზე კიდევ მრავალი თაობა გაიზრდება.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

SMS-განცხადებები - 3090

● ვყიდი მუხრან-თელეთში ახალაშენებულ (გასაკეთებელია სველი წერტილი) 276 კვ. მეტრის საცხოვრებელ სახლს, მონტერეის გადახურვით, მეტ. პლასტმასის კარფანჯრებით, რკინის ჯალუზებით, საკ. წყლით, ბუნებრივი აირით, 600კვ.მ მიწის ნაკვეთით. სხლი მდებარეობს თბილისიდან 22კმ-ში. ფასი 30000 დოლარი. 15000 დოლარი ხელზე და 15000 დოლარი განვადებით. ტელ.: 577424122. 599722748. გია.

განცხადებები

● **კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს.** სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● ქირავდება ვაკის პარკთან მე-3(5) სართულზე,3-ოთახიანი გარემონტებული ბინა, მოწესრიგებული სადარბაზო, საკაბელო, ინტერნეტი, 2 ტელეფონი, 2 კარმა, იტალიური სანტექნიკით, სარეცხი მანქანით, ბოშის დიდი მაცივრით გადიდებულ სამზარეულოში, კონდენციონერით, 2 აივნით, ლოჯიით, 115 კვ.მ. თამარაშვილის 5, გამოდგება საოფისედაც. ფასი 680 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, ოტიტის, ოსტეოქონდროზის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

წლის დასაწყისში ისევ მოვიგეთ

აღბანეთი – საქართველო 1:2
1:0 ბოგდანი (25), 1:1 ვაწაძე (41), 1:2 ლობჟანიძე (82)

ალბანეთი: ბერიშა (უიკანი 45), ლილა, ოსმანი (ვაიუში 45), ჩანა, ცური, აგოლი (არაპი 73), ბულკუ (მუზაკა 89), ვილა (ჰუსაი 61), ბაკაი (სადიკუ 55), როში (გ.ლიკა 76), ბოგდანი (ბალა 66)

საქართველო: კვასხვაძე, ლობჟანიძე, გრიგალავა (კანკავა 46), კაშია, კანდელაკი (კვირკველია 46), ხიზანიშვილი, ა.კობახიძე (ძარია 63), ძალამიძე (ოქრიაშვილი 46), თარგამაძე, ყენია (გელაშვილი 60), მჭედლიძე (ვაწაძე 20, თომაშვილი 78)

საქართველოს ნაკრებმა წელი ისევ გამარჯვებით დაიწყო და გულშემატკივრებში მორიგი ოპტიმისტური განწყობა გააღვივა. მოიგო დაძაბული ბრძოლაში, მაშინ როდესაც გუნდი აგებდა. მსგავსი ფაქტი ქეცბაიას მწვრთნელობისას უცხო არ არის და თვალშისაცემია. იყო დრო, როდესაც გოლგაშვებული ნაკრები უკვე ფარხმალს ყრიდა და მატჩს ვადამდე აგებდა. ახლა სიტუაცია შეიცვალა – გუნდი ბოლომდე იბრძვის, გახშირდა მოგებებიც, თუმცა ეს ყველაფერი საკმარისი არ არის იმ დონის გუნდის დაყენებამდე, რომელიც ასე სჭირდება ქართულ ფეხბურთს. ნაკლი ისევ არის – ამასთან, ძალიან ბევრი, რომლის გამოსწორებაზე ფიქრი მწვრთნელის პროგატივაა. გუნდს ნამდვილად არ უჩვენებია იმ ხარისხის ფეხბურთი, რომ ქებით ცაში ავიყვანოთ, უფრო პირიქით, კვლავ მრავლად იყო ხარვეზები და კონკრეტული ფეხბურთელები, რომლებიც სანაკრებო დონეს ვერ აკმაყოფილებენ.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრების შემადგენლობასა და განლაგებას: შეხვედრა თადარიგში დაიწყეს გუნდის კაპიტანმა ჯაბა კანკავამ და ერთ-ერთმა წამყვანმა შუახაზელმა თორნიკე ოქრიაშვილმა, რაც სიურპრიზი არ ყოფილა – ორივე მათგანი საფრანგეთთან შესარჩევ მატჩს დისკვალიფიკაციის გამო ტოვებს და ქეცბაიამ მათი 11 კაცს მიღმა დატოვება ამიტომ გადაწყვიტა.

კანკავას არყოფნაში ნაკრებს პირველად უკაპიტნა გურამ კაშიამ, რომელიც „ჯვაროსნებისთვის“ მე-18 კაპიტანი გამოდგა.

მეკარე გიორგი ლორიას ვირუსი შეეყარა და როინ კვასხვაძეს პირველად მოუწია ძირითადში დადგომა. მანამდე მის ანგარიშზე მხოლოდ ესპანეთთან შეცვლაზე შესვლა იყო.

მატჩის პირველ ნახევარში ცენტრალური მცველები ზურაბ ხიზანიშვილი და გია გრიგალავა იყვნენ, ხოლო ფლანგებზე უჩა ლობჟანიძე და ნაკრებში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაბრუნებული ილია კანდელაკი მოქმედებდნენ; მოედნის ცენტრში კაშიას სანდრო კობახიძე შეუწყვილდა, მარჯვნიდან დავით თარგამაძე, ცენტრიდან ლევან ყენია, ხოლო მარცხნიდან ნიკა ძალამიძე უტევდა. ერთადერთ ცენტრფორვარდად ქეცბაიამ ლევან მჭედლიძე გაამწესა, რომელიც პირველი ტაიმის შუაწელში შესაცვლელი შეიქნა და მისი ადგილი მათე ვაწაძემ დაიკავა.

მატჩის პირველი ტაიმი სანახაობრივი ნამდვილად არ ყოფილა. ოდნავ უპირატესობას ჩვენები ფლობდნენ, თუმცა, როგორც ხშირად ხდება, ბურთი ჩვენს კარში გავიდა. ჯერ მარჯვენა ფრთა ჩავარდა, შემდეგ დაცვის ცენტრი და ერიონ ბოგდანის თავურის შემდეგ კვასხვაძე უძლური იყო კარი გადაერჩინა.

41-ზე კი ქართველებს კარგი კომბინაცია გამოუვიდათ, თარგამაძემ მოედნის სიღრმიდან წამოიღო ბურთი, საჯარიმოში ყენია მოძებნა და ლევანის ჩაწოდებულს დანიური „ორჰუსის“ თავდამსხმელმა მათე ვაწაძემ შეაგება თავი 1:1.

პირველი ტაიმის მიწურულს კვასხვაძემ აგოლის დარტყმა მოიგერია.

შესვენებაზე და მეორე ტაიმის მსვლელობისას ქეცბაიამ არაერთი ცვლილება განახორციელა, რასაც ჩვენი ნაკრების თამაშზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია. პირიქითაც შეიძლება ითქვას – ოქრიაშვილმა გვიჩვენა, ვინ არის გუნდის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერი.

მეორე ტაიმის დასაწყისში ქართველებს დაწინაურება ორჯერ შეეძლოთ, მაგრამ ვაწაძესა და თარგამაძეს მიზნამდე მცირედი დააკლდათ.

გამარჯვების გოლის გატანა ალბანელებსაც შეეძლოთ – კვასხვაძემ მოიგერია რიკოშეტით წასული ბურთი. აქ ჩვენს მეკარეს ძელიც წაეხმარა.

გამარჯვების გოლი სტუმრებმა ოქრიაშვილის ფლანგური გარღვევის შემდეგ გაიტანეს. უჩა ლობჟანიძემ, რომელიც ცენტრფორვარდის პოზიციაზე აღმოჩნდა, ბურთს მიმართულება უცნაური მოძრაობით შეუცვალა და საქართველოს ნაკრები დააწინაურა.

ლობჟანიძემ, ისევე, როგორც ვაწაძემ, ტირანაში პირველი სანაკრებო გოლი გაიტანა.

საქართველოს ნაკრებმა ტირანაში გამარჯვებით ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა.

თემურ ქეცბაია:

– რუსეთსა და უკრაინაში მოთამაშე ლეგიონერებმა სულ ახლახან დაიწყეს სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადება და ოპტიმალურ ფორმაში არ არიან, ალბანეთის ნაკრები კი ჩვენთვის უხერხული მეტოქეა და ასეთ ვითარებაში მის წინააღმდეგ თამაში იოლი არ იყო. მოხარული ვარ, რომ ანგარიშში ჩამორჩენის შემდეგ ბრძოლა განვაგრძეთ და ორი გოლი გავიტანეთ. ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სათანადოდ უნდა მოვემზადოთ საფრანგეთში გასამართი ოფიციალური მატჩისთვის და იქამდე დარჩენილი თვე-ნახევარი ნაყოფიერად გამოვიყენოთ. დარწმუნებული ვარ, ბიჭები საამისოდ ყველაფერს გააკეთებენ. მათ კარგად ესმით, რომ იქ წარმატების მისაღწევად სულ სხვა თამაში და გაცილებით დიდი შრომა იქნება საჭირო.

არმიის დასვენებით სამეულმა ისარგებლა

სოხუმი – ოლიმპი 69:82
(5:24; 26:21; 18:20; 20:17)

სუპერლიგის ლიდერმა სპორტის სამინისტროს გუნდმა ერთ-ერთი აუტსაიდერი 13 ქულის სხვაობით – 82:69 დაამარცხა.

სოხუმელებს მებრძოლი გუნდი ჰყავთ და თითქმის ყველა მეტოქეს პრობლემებს უქმნიან. გია კაზანჯიანის გუნდს კი „სოხუმმა“ წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ვაჟა კვარაცხელიას გაწვრთნილმა სოხუმელებმა პირველი მეოთხედი 5:24 დათმეს, შემდეგ კი მთელი თამაშის განმავლობაში ამ ჩამორჩენის აღმოფხვრას ცდილობდნენ.

ანგარიშში სხვაობა ბოლო მეოთხედამდე 15-20 ქულას შორის მერყეობდა. დაწინაურებული ოლიმპელები მეტოქეს წამოწევის საშუალებას არ აძლევდნენ. სპორტის სამინისტროს გუნდში განსაკუთრებულად არავინ გამოირჩეოდა. „ოლიმპი“ გუნდურად თამაშობდა, რასაც ის ფაქტიც მოწმობს, რომ ხუთმა კალათბურთელმა 10-ქულიან ზღვარს მიაღწია.

მაქსიმალური მონდომების ხარჯზე სოხუმელებმა ბოლო პერიოდში ჩამორჩენა 10 ქულამდე შეამცირეს. გრიგოლ შვანგირაძის სამქულიანისა და ირაკლი ჩლაიძის საჯარიმოს შემდეგ, როცა მატჩის დასრულებამდე 5 წუთი რჩებოდა, „სოხუმი“ მეტოქეს 57:67 მიუახლოვდა, თუმცა ოლიმპელებმა მომდევნო წუთ-ნახევარში უპირატესობა 17 ქულამდე გაზარდეს და გამარჯვება გაინაღდეს.

როგორც აღვნიშნეთ, „ოლიმპში“ 5-მა კალათბურთელმა 10-ქულიან ზღვარს მიაღწია, რომელთაგან 16 ქულით საუკეთესო აკაკი დვალიშვილი გახლდათ. 14 ქულა მოაგროვა ესტონელმა სტენ სოკმა, ხოლო 13-13 მოინაგრეს მიხეილ ბერიშვილმა და ლევან ფაცაციამ. სოხუმელებს ტრადიციულად ირაკლი ჩლაიძემ ულიდერმა. სუპერლიგის ბომბარდირმა ამჯერად 20 ქულა ჩააგდო, რაც მის საშუალო მონაგარზე ოდნავ ცოტაა. ორმაგი დუბლით დაასრულა შეხვედრა სერგო ათუაშვილმა, რომელმაც 16 ქულასა და 13 მოხსნას 4 დაფარებაც მიაბა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე კომენტარი სოხუმის კლუბის პრეზიდენტმა, მინდია გულუამ გააკეთა, რომელიც სუპერლიგის მატჩს დაესწრო.

მინდია გულუა (სოხუმის კლუბის პრეზიდენტი):

– მოხარული ვარ რომ მომეცა საშუალება და დღევანდელ მატჩსა და პრესკონფერენციას დავესწარი. მსურს ოლიმპს დამსახურებული გამარჯვება მივულოცო, ჩვენ კი ალბათ გავაუმჯობესებთ შედეგს. ჩვენი პრიორიტეტი იყო ის, რომ ქართველი კალათბურთელებით დაგვეკომპლექტებინა გუნდი. რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, კმაყოფილი ვარ და დიდი სიამოვნება მივიღე სანახაობრივი თამაშით. გპირდებით გარკვეულ სიურპრიზს, რომელიც რა თქმა უნდა ჩვენს გუნდს უკავშირდება.

გია კაზანჯიანი (ოლიმპი):

– „სოხუმთან“ თამაში რთულია, რადგან რა ანგარიშითაც არ უნდა უგებდე, სხვაობის შემცირებას მაინც ახერხებენ. გუნდში ტრავმიანობა გვქონდა, თუმცა დღევანდელი თამაშით მაინც კმაყოფილი ვარ. ვაგრძელებთ ვარჯიშს და ვემზადებით მორიგი შეხვედრებისთვის.

ვაჟა კვარაცხელია (სოხუმი):

– „ოლიმპი“ სოლიდური გუნდია, რომელსაც ძლიერი კალათბურთელები ჰყავს. ჩვენმა ბიჭებმა იომეს, მაგრამ ბევრი ხარვეზი გვქონდა. იმედია სასურველ შედეგს ვაჩვენებთ.

სტენ სოკი (ოლიმპი):

– მადლობა მეტოქეს ასეთი კარგი თამაშისთვის. მიუხედავად გამარჯვებისა, გვქონდა გარკვეული შეცდომები. მადლობა ჩემს გუნდსა და თანაგუნდელებს.

რატი ბაკაშვილი (სოხუმი):

– პირველ რიგში მსურს მადლობა გადავუხადო ბატონ მინდია გულუას, რომელიც სამი წლის განმავლობაში ჩვენი გუნდის გვერდითაა. რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, ოლიმპი ჩემპიონობის ერთ-ერთი კანდიდატია, რომელთანაც ბოლომდე ვიბრძოლეთ და მაქსიმუმი გავიღეთ.

თსუ – დინამო 60:68
(10:20; 17:13; 16:16; 17:19)

ცხრილში ეს გუნდები გვერდიგვერდ არიან – „დინამო“ მე-6-ზე, თსუ კი – მე-7 ადგილზეა. შესაბამისად, სატურნირო თვალსაზრისით ამ მატჩს საკმარისი ინტრიგა ახლდა. გამარჯვების შემთხვევაში სტუდენტები დინამოელებთან ჩამორჩენას ამცირებდნენ.

თსუ-ელებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და მეტოქეს ტოლს არ უდებდნენ. პირველი მეოთხედის 10:20 წაგების შემდეგ სტუდენტებმა მეორე პერიოდი 17:13 მოიგეს და დიდი შესვენებისთვის ანგარიშში სხვაობა მხოლოდ 6 ქულა იყო.

მეორე ტაიმში დინამოელებმა სიზუსტეს უმატეს – ბექა ჩიკვილაძემ და ამერიკელმა ლეგიონერმა ფლინ კლაიმენმა შორი სროლები ჩააგდეს და ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილი გუნდი 62:49 დაწინაურდა. თსუ-ს მოთამაშეები ცდილობდნენ ანგარიშის შემცირებას, ყველა მათგანი ბოლომდე იბრძოდა, მაგრამ შედეგიანად მოთამაშე დინამოელების გატეხვა გიორგი ჩხეიძის გუნდმა ვეღარ მოახერხა.

ბოლო წუთებზე თსუ-მ გაიბრძოლა, თამაშის დასრულებამდე 2 წუთით ადრე ჩამორჩენა 4 ქულამდე (60:64) შეამცირა, მაგრამ მეტისთვის ძალა აღარ ეყო. „დინამომ“ მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება მოახერხა და ჩემპიონატში მე-7 გამარჯვება მოიპოვა – 68:60.

მოგებულთაგან 18 ქულით საუკეთესო ბექა ჩიკვილაძე გახლდათ, ხოლო ფლინ კლეიმენმა პირად ანგარიშზე 16 ქულა ჩაიწერა. თსუ-ში 14 ქულით ბომბარდირი კოტდივუარელი სერჟ ასელაინი გახდა.

მატჩის შემდეგ:

ირაკლი ხოშტარია (დინამო):

– საკმაოდ საინტერესო მატჩი გამოდგა. მეტოქემ ყველა კომპონენტში სერიოზული წინააღმდეგობა გაგვიწია. ბევრი შეცდომა გვქონდა, მაგრამ ჩვენი გუნდი ნელ-ნელა შევა სასურველ ფორმაში და უკეთ იასპარეზებს. ვცდილობთ ახალგაზრდა მოთამაშეები მაქსიმალურად დავტვირთოთ, თუმცა ჩვენთვის ამ ეტაპზე მთავარია შედეგია. სამწუხაროდ ტრავმების გამო გუნდში ბევრი პრობლემა შეგვექმნა. ლეჟავა და ოლუიჩი მხოლოდ 10 დღეა რაც ვარჯიშობენ. ვიმედოვნებ ბიჭები თანდათან უფრო და უფრო მოუმატებენ თამაშს.

გიორგი ჩხეიძე (თსუ):

– ვულოცავ „დინამოს“ გამარჯვებას. თამაში ძალიან დაძაბული გამოდგა და მატჩის ბედი მხოლოდ ბოლო წუთებზე გაირკვა. ვფიქრობ შეიძლებოდა ამ მატჩის მოგება, თუმცა ჩემი შეცდომების გამო მარცხი განვიცადეთ. ბოდიშს ვუხდი ჩემს გუნდს და გულშემატკივარს.

სოსო ლეჟავა(დინამო):

– თსუ-მ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია. მე და ოლუიჩმა დღეს ნამდვილად სუსტად ვიასპარეზეთ. დავეთანხმები მწვრთნელს, რომ ჩვენმა გუნდმა დღეს ბევრი შეცდომა დაუშვა.

ვახტანგ ჩქარეული (თსუ):

– ვულოცავ დამსახურებულ გამარჯვება დინამოს გუნდს. რაც შეგვეხება ჩვენ, ვფიქრობ, ბიჭებს კიდევ უფრო უნდა მოგვენდომებინა. ბოლო 10 დღეა არ გვივარჯიშია და ჩვენი მარცხის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც ეს ფაქტიც გახდა.

თსსუ – ქუთაისი 70:91
(9:32; 21:23; 22:14; 18:22)

„ქუთაისს“ ტრავმის გამო აკლდა რევაზ დიდია, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია იმერული კლუბისთვის, იოლი გამარჯვება მოეპოვებინა. მატჩს დაძაბულობა აკლდა – იმერულმა კლუბმა თსსუ-ს ზედმეტი გართულებების გარეშე მოუგო. მატჩის ბედი პირველივე მეოთხედში გადაწყდა, რომელიც დავით უსტიაშვილის გუნდმა 32:9 მოიგო. ქუთაისელებმა ჩვეულ სტილში, შორი სროლებით მოიპოვეს უპირატესობა, თუმცა არც გარღვევების განხორციელება უჭირდათ. მედიკოსთა დაცვა ვერ იყო მოწოდების სიმაღლეზე და იმერლები ქულებს იოლად იხვეჭდნენ.

პირველი მეოთხედის 23 ქულით მოგების შემდეგ ქუთაისელებმა მეორე 23:21 მოიგეს და დიდ შესვენებაზე სოლიდური უპირატესობით გავიდნენ. მესამე მეოთხედში დავით უსტიაშვილის გაწვრთნილმა ქუთაისელებმა თავს მოდუნების საშუალება მისცეს და თსსუ-მაც ჩამორჩენა ნაწილობრივ შეამცირა. დანარჩენზე მედიკოსებს ძალები აღარ გასწვდათ. იმერულმა კლუბმა მატჩი გამარჯვებამდე მიყვანა – 91:70.

გამარჯვებულებში 19 ქულით გიორგი ბარბაქაძე გამოირჩა, ხოლო რიჩარდ მათიაშვილმა 18 ქულითა და 10 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა. 1 მოხსნა დააკლდა სამმაგ დუბლამდე აზერბაიჯანელ ზაურ ფაშაევს, რომელმაც 15 ქულა, 12 პასი და 9 მოხსნა მოაგროვა. თსსუ-ში 19 ქულა ჰქონდა გიორგი ფერიაშვილს, ხოლო ლევან რევაზაშვილმა მედიკოსებს 17 ქულა შესძინა.

მატჩის შემდეგ:

დავით უსტიაშვილი (ქუთაისი):

– დასაწყისშივე გადაწყდა მატჩის ბედი. შეხვედრა თავიდანვე კარგად დავიწყეთ. სამედიცინო ახალგაზრდული გუნდია, მეორე ტაიმი კარგად ითამაშეს, მორიგ ტურში სერიოზული შეხვედრა გვაქვს არმიას წინააღმდეგ და ვემზადებით. თუმცა გუნდში პრობლემებია, ადრე ტრავმიანობა იყო, ახლა კი ვირუსი შემოგვეპარა, თუმცა იმედი მაქვს ჯანმრთელად ვიქნებით.

კახა შენგელია (სამედიცინო):

– ვულოცავ გამარჯვებას მოწინააღმდეგეს და წარმატებას ვუსურვებთ. ჩვენ ძალიან ცუდად დავიწყეთ. ეს თამაში გამოგვადგება ჩვენს უშუალო კონკურენტების წინააღმდეგ.

რიჩარდ მათიაშვილი (ქუთაისი):

– თავიდანვე უპირატესობით დავიწყეთ. ვემზადებით მორიგი შეხვედრისთვის, რომ აღარ გვქონდეს ასეთი მეორე ტაიმი „არმიასთან“.

გიორგი ფერიაშვილი (სამედიცინო):

– თავიდან ძალიან ცუდად დავიწყეთ, მეორე ტაიმში ცოტა გამოვფხიზლდით, მაგრამ არ იყო საკმარისი.

სატესტო ცხრილი:

1.შსს	11	9	2919:716	20
2.ოლიმპი	11	9	2947:795	20
3.რუსთავი	11	9	2902:766	20
4.არმია	10	8	2894:651	18
5.ქუთაისი	11	7	4873:802	18
6.დინამო	11	7	4850:808	18
7.თსუ	11	4	7753:851	15
8.სოხუმი	11	3	8848:940	14
9.ბათუმი	11	3	8760:899	14
10.თსსუ	11	1	10674:958	12
11.სტუ	11	0	11710:944	11

შედეგები

ფეხბურთი

მრ-2014. შესახჩევი ეტაპი

ჰონდურასი-აშშ 2:1
პანამა-კოსტა რიკა 2:2
მექსიკა-იამაიკა 0:0

აფრიკის ეროვნული თასი

მალი-ნიგერია 1:4
ბურკინა ფასო-განა ..... 1:1(3:2პ)

აზიის თასი

ვიეტნამი-საემიროები 1:2
უზბეკეთი-ჰონკონგი 0:0
ირანი-ლიბანი 5:0
ტაილანდი-კუვეიტი 1:3
ომანი-სირია 1:0
ერაყი-ინდონეზია 1:0
იორდანია-სინგაპური 4:0
იემენი-ბაჰრეინი 0:2
ყატარი-მალაიზია 2:0
ს.არაბეთი-ჩინეთი 2:1

ამხანაგური მატჩები

იაპონია-ლატვია 3:0
რუანდა-უგანდა 2:2
აზერბაიჯანი-ლიხტენშტეინი 1:0
ზიმბაბვე-ბოსტვანა 2:1
ტანზანია-კამერუნი 1:0
ხორვატია-ჩრ.კორეა 4:0
კენია-ლიბია 3:0
მოლდოვა-ყაზახეთი 1:3
უნგრეთი-ბელარუსი 1:1
კვიპროსი-სერბეთი 1:3
ნორვეგია-უკრაინა 0:2
სლოვენია-ბოსნია 0:3
ჩილე-ეგვიპტე 2:1
ალბანეთი-საქართველო 1:2
ისრაელი-ფინეთი 2:1
ესპანეთი-ურუგვაი 3:1
თურქეთი-ჩეხეთი 0:2
მაკედონია-დანია 3:0
მალტა-ჩრ.ირლანდია 0:0
ინგლისი-ბრაზილია 2:1
საბერძნეთი-შვეიცარია 0:0
ჰოლანდია-იტალია 1:1
რუსეთი-ისლანდია 2:0
შვედეთი-არგენტინა 2:3
ბელგია-სლოვაკეთი 2:1
ირლანდია-პოლონეთი 2:0
რუმინეთი-ავსტრალია 3:2
უელსი-ავსტრია 2:1
შოტლანდია-ესტონეთი 1:0
საფრანგეთი-გერმანია 1:2
პორტუგალია-ეკვადორი 2:3
პარაგვაი-სალვადორი 3:0
ბოლივია-ჰაიტი 2:1
ტრინიდადი-პერუ 0:2
გვატემალა-კოლუმბია 1:4

ამხანაგური მატჩები (21)

თურქეთი-ნორვეგია 2:0
ალბანეთი-მაკედონია 0:0
საბერძნეთი-შოტლანდია 1:1
ირლანდია-ჰოლანდია 3:0
მალტა-ავსტრია 1:3
უელსი-ისლანდია 3:0
ისრაელი-სერბეთი 0:0
მოლდოვა-რუმინეთი 0:3
პორტუგალია-სლოვენია 0:0
იტალია-გერმანია 1:0
შვეიცარია-სლოვაკეთი 0:1

კალათბურთი

ნბა. ჩეგეულარული სეზონი

ვაშინგტონი-ნიუ იორკი 106:96
კლივლენდი-შარლოტი 122:95
ორლანდო-კლიპერსი 76:86
ტორონტო-ბოსტონი 95:99
ფილადელფია-ინდიანა 69:88
ატალანტა-მემფისი 103:92
დეტროიტი-ბრუკლინი 90:93
მაიამი-ჰიუსტონი 114:108
ნიუ ორლეანი-ფინიქსი 93:84
ოკლაჰომა-გოლდენ სტეიტი .... 11(;98
დალასი-პორტლენდი 105:99
მინესოტა-სან ანტონიო 94:104
იუტა-მილუოკი 100:86

ჰოკეი

ნჰლ. ჩეგეულარული სეზონი

მონრეალი-ბოსტონი 1:2
კოლორადო-ანაჰაიმი 0:3
ედმონტონი-დალასი ..... 2:3(ოტ)

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

პირველი ქართულ-ინგლისური სპექტაკლი დადგმულია

ეკა ირემაშვილი

ქართული თეატრის ისტორიაში პირველად დაიდგა სპექტაკლი, რომელიც ქართულ ენაზეც იქნება წარმოდგენილი და ინგლისურზეც. 8 და 9 თებერვალს თავისუფალ თეატრში პრემიერაა. რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი წარმოადგენს სპექტაკლს „სათამაშო პისტოლეტი". პიესის ავტორია თამარ ბართაია, მხატვარი – მირიან შველიძე, მუსიკის ავტორი და შემსრულებელი – ლექსო ტურიაშვილი. სპექტაკლში მონაწილეობენ ანი ალადაშვილი და გიორგი აბაშიძე. წარმოდგენა თბილისის მერიის მხარდაჭერით დაიდგა.

როგორც რეჟისორმა „ახალ თაობას" განუცხადა, სპექტაკლზე მუშაობა დასრულებულია და ახლა შემოქმედებითი ჯგუფი მაყურებელთან შესახვედრად ემზადება.

გიორგი შალუტაშვილი, რეჟისორი:

– ეს არის პიესა, რომელმაც 2011 წელს გაიმარჯვა თუმანიშვილის სახელობის ფონდის მიერ გამოცხადებულ პიესების კონკურსში. მან თუმანიშვილის პრემია მიიღო. შარშანწინ ვიყავი ნიუ იორკში, იქ გაიხსნა ქართული მართლმადიდებელი, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია და ამ ეკლესიის გახსნის ერთ-ერთმა ინიციატორმა მთხოვა, გაგვეკეთებინა ქართული სპექტაკლი და წასულიყო ნიუ იორკში, კონკრეტულად ბროდვეიზე. ჩვენ ასეთი შეთანხმება გვქონდა და, როგორც კი თამრიკო ბართაიას პიესა წავიკითხე, შევთავაზე, რომ ამ პიესის მიხედვით მომხდარიყო ჩვენი იდეის განხორციელება. სპექტაკლი უკვე დავდგით, მისი პრემიერაც ამ დღეებშია დაგეგმილი და ეს არის პირველი სპექტაკლი, რომელიც ქართულადაც და ინგლისურადაც გათამაშდება თავისუფალი თეატრის სცენაზე.

– სპექტაკლს ქართულადაც და ინგლისურადაც ერთი და იგივე მსახიობები ითამაშებენ?

– დიახ, ერთი და იგივე მსახიობები ითამაშებენ ამ სპექტაკლს როგორც ქართულად, ასევე ინგლისურად.

– ინგლისურადაც მზად გაქვთ უკვე სპექტაკლი?

– როგორც კი ქართულად ვითამაშებთ, ორ-სამ კვირაში სპექტაკლს უკვე ინგლისურადაც წარმოვადგენთ.

– მსახიობები როგორ შეარჩიეთ?

– სპექტაკლში მონაწილეობენ ანი ალადაშვილი და გიორგი აბაშიძე.

ანი არის ჩემი კურსდამთავრებული, თავისუფალი თეატრის მსახიობი, ხოლო გიორგი წლების განმავლობაში ამერიკაში ცხოვრობდა და სტელა ადლერის კურსებზე იარა, გარკვეული გამოცდილება მიიღო და მათთვის ინგლისურ ენაზე სპექტაკლის თამაშის არანაირი პრობლემა არ არის. სწორედ ამ ნიშნით შევარჩიე სპექტაკლისთვის მსახიობები. ამ შემთხვევაში ორი მსახიობი მჭირდებოდა, რომლებიც კარგად ფლობდნენ ინგლისურ ენას. ეს სპექტაკლი არის მერიის პროექტი და მასში თავიდანვე ჩადებული იყო, რომ მსახიობებს უნდა ეთამაშათ როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე. ამ ორ მსახიობს სრულყოფილად შეუძლია ინგლისურ ენაზე სპექტაკლის თამაში, ამიტომაც ისინი ავარჩიე.

– საზღვარგარეთ არ აპირებთ სპექტაკლის წაღებას?

– სპექტაკლის სარეპეტიციო ვერსია უკვე ნახეს ბრიტანულ-ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა და ლონდონში უკვე დაწყებულია მოლაპარაკება ამ სპექტაკლის წასაღებად. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, რადგან არ მინდა, საქმე გაფუჭდეს. უცხოეთში სპექტაკლის გატანამდე არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოშიც არაერთი ტურისტია და მათ საშუალება ექნებათ, სპექტაკლი მშობლიურ ენაზე ნახონ. ჩვენ ზუსტად ეს ჩანაფიქრიც გვქონდა, რომ ტურისტები მოგვეზიდა. მიმაჩნია, რომ სპექტაკლები სუბტიტრებით უნდა მიდიოდეს, არსად სინქორონით სპექტაკლი არ გადის, არადა, უნდა იყოს სინქრონით ან მორბენალი სტრიქონით, როგორც არის მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. ჩვენ კი მთლიანად ინგლისურ ენაზე ვითამაშებთ სპექტაკლს, ეს კი, მიმაჩნია, რომ ნამდვილად ნოვაციაა და ძალიან მიხარია, რომ ამ ნოვაციის ავტორი თავისუფალი თეატრია. ამ მხრივ ავთო ვარსიმაშვილი საოცრად თანამედროვედ მოაზროვნე ადამიანია, ნოვატორია და ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ ერთადერთი ადამიანი, რომელმაც თბილისის თეატრალურ სამყაროში გამიღო კარი მეც და ჩემს სტუდენტებსაც, ეს ავთო ვარსიმაშვილია.

– ამიტომაც დადგით ნოვატორული სპექტაკლი თავისუფალ თეატრში?

– დიახ, რადგან, სამწუხაროდ, სახელმწიფო თეატრში ჯერჯერობით ადგილი არ მაქვს, მხოლოდ მიწვევები მაქვს, ამისთვისაც მადლობა ყველას. სიმართლე რომ ვთქვა, ამაზეც არ ვდარდობ, ძალიან მიხარია, რომ ასეთი სპექტაკლი დავდგით და თანაც სერიოზული მიწვევები გვაქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ. მომხრე ვარ, ქართული ხელოვნება ისე გავიტანოთ საზღვრებს გარეთ, რომ ვიღაცას კი არ ვეხვეწოთ, არამედ იქით ვასწავლოთ, რადგან ქართული ხელოვნება ამის საშუალებას ნამდვილად იძლევა.

„ზაზანოვა" მუსიკალურ ფესტივალს უმასპინძლებს

ეკა ირემაშვილი

მუსიკოსი ზაზა მარჯანიშვილი და მისი მეუღლე მარინა სალუქვაძე „ზაზანოვაში" ხუთდღიან ფესტივალს უმასპინძლებენ. „მარდი გრას" — ასეთია ფესტივალის სახელწოდება, რომელიც მსოფლიოში სახელგანთქმული ნიუორლეანური ფესტივალის ქართული ვარიანტი იქნება. ეს ფესტივალი ყოველწლიურია და ის პირველად აიღებს სტარტს საქართველოში.

როგორც სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე ზაზა მარჯანიშვილმა, მარინა სალუქვაძემ და მაია ბარათაშვილმა განაცხადეს, ეს იქნება დაუვიწყარი და ორიგინალური ფესტივალი, სადაც დამსწრე საზოგადოებას სადღესასწაულო ჩაცმულობითა და ნიღბებით მოუწევთ მისვლა.

ხუთდღიანი ფესტივალი რუსთაველის გამზირზე ცოცხალი მუსიკის თანხლებითა და კოსტიუმირებული მსვლელობით 8 თებერვალს გაიხსნება. ფესტივალში მონაწილეებისთვის მთავარი პირობა სადღესასწაულო კოსტიუმები და ნიღბებია. ნიღბები და საკარნავალო აქსესუარები ფესტივალის ორგანიზატორებმა უკვე ჩამოტანეს ნიუ-ორლეანიდან. საკარნავალო კოსტიუმებზე ფესტივალზე დამსწრე საზოგადოებამ თავად უნდა იზრუნოს, ნიღბებს კი ბილეთის შეძენისას მიიღებენ.

– ხუთდღიანი ფესტივალი 8 თებერვალს რომა რცხილაძის კონცერტით გაიხსნება. 9 თებერვალს მას ნინო ქათამაძე შეენაცვლება. 10 თებერვალს ფესტივალში ჩაერთვებიან სხვადასხვა მუსიკალური ბენდები, რომლებიც „ოქროს ხანის სიმღერებს" შეასრულებენ ბლუზისა და ჯაზის სფეროდან. 11 თებერვალს ფესტივალის ფარგლებში მსმენელის წინაშე მაია ბარათაშვილი იმღერებს. 12 თებერვალს კი ღონისძიებას ზაზა მარჯანიშვილი დახურავს. ყველა საღამოზე მიწვეული მომღერალი თუ მუსიკოსი საკუთარი რეპერტუარიდან საუკეთესო მუსიკალურ ნაწარმოებებს წარმოადგენს, – განმარტა მარინა სალუქვაძემ.

ფესტივალის დასკვნით ღონისძიებაზე გაიმართება დაჯილდოების ცერემონიალი, სადაც სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები და საუკეთესო ნიღბების მფლობელები გამოვლინდებიან. მათ ფესტივალის ორგანიზატორები სამახსოვრო პრიზებით დააჯილდოებენ.

მარინა სალუქვაძე, ტელეწამყვანი:

– მსგავსი რამ საქართველოში პირველად ტარდება. პირველად საქართველოში „ზაზანოვა" წარმოგიდგენთ მსოფლიოში სახელგანთქმულ ნიუორლეანურ ფესტივალსა და კარნავალს „მარდი გრას". ფესტივალის ჩატარების თარიღია 8-12 თებერვალი.

ფესტივალის სტუმართა ჩაცმულობა – სასურველია საკარნავალო, აუცილებელია ნიღაბი. ნიღბები და საკარნავალო აქსესუარები ჩვენ უკვე ჩამოგვივიდა ნიუ-ორლეანიდან. ჩვენს ფესტივალს გახსნის რომა რცხილაძე 8 თებერვალს. „მარდი გრასის" ფესტივალი ტარდება ლოს ანჯელესში, ნიუ-ორლეანში და ის საკმაოდ ცნობილია. ფესტივალი ჩვენ მიერ თბილისშიც ზუსტად ასეთი სახით მოეწყობა. ფესტივალს გახსნის მსვლელობა ქუჩაში გრას ბენდთან ერთად და მთლიანობაში ხუთდღიანი ფესტივალი იქნება წარმოდგენილი. ფესტივალის ფარგლებში იმღერებენ რომა რცხილაძე, ნინო ქათამაძე, მაია ბარათაშვილი, 10 თებერვალს სხვადასხვა ბენდს გავაერთიანებთ და ისინი წარმოადგენენ ბლუზსა და ჯაზს, ხოლო 12 თებერვალს, ფესტივალის დახურვის დღეს, ზაზა მარჯანიშვილი გამართავს სოლოკონცერტს. დასკვნით ღონისძიებაზე მოეწყობა საუკეთესოს არჩევა და გაიმართება დაჯილდოების ცერემონიალები. ნიღბები უკვე ჩამოსულია ნიუ-ორლეანიდან და ყველა შემომსვლელი ბილეთთან ერთად მიიღებს ნიღაბს. ჩვენი მთავარი მოთხოვნაა, ფესტივალზე დასწრების მსურველთა ჩაცმულობა იყოს საკარნავალო, დანარჩენი უკვე ჩვენზეა.

ზაზა მარჯანიშვილი, მუსიკოსი:

– „ზაზანოვა" არის ადგილი, სადაც ახალი ორლეანური სამზარეულო და მუსიკაა. ფესტივალი „მარდი გრას" მსოფლიოშია სახელგანთქმული. აქედან გამომდინარე, გვინდა, ეს ტრადიცია დავაფუძნოთ თბილისშიც. ფესტივალი ხუთდღიანია და ამ პერიოდში მუსიკა იქნება ყველანაირი, აყღერდება ჯაზი, ჯაზროკი, ფიუჟენ ჯაზი, ნინო ქათამაძე თავისი არაჩვეულებრივი მუსიკით და ფესტივალის ყველა სტუმარს სასიამოვნო საღამოებს ვპირდებით.

მაია ბარათაშვილი, მომღერალი:

– მჯერა, რომ ეს ფესტივალი თბილისელებისთვის დაუვიწყარი იქნება. ხუთი დღე იქნება ისეთივე გიჟური, ისეთივე არალოგიკური, როგორიც არის ახალი ორლეანი. იქნება რომა რცხილაძე, ნინო ქათამაძე, მუსიკალური ბენდები, ზაზა მარჯანიშვილი და მე პიანისტ გიორგი რაქვიაშვილთან ერთად. ეს იქნება ცოტათი უჩვეულო საღამო, წარმოდგენილი ჩემ მიერ. უჩვეულო მანერით ვიმღერებ ბევრ ნაცნობ თემას, რაც აქამდე მიმღერია, მაგრამ საღამოზე, რა თქმა უნდა, ბევრი ახალი თემაც იქნება.

გოეთეს ინსტიტუტში კითხვის დღე მოეწყობა

დასაწყისი მე-7 გვერდზე

მოადგენს პროექტს „ლექსები ბავშვებისთვის" გერმანულად, ხათუნა მჭედლიშვილი – „როგორ გავაგრძელოთ?", ეს არის ამბები დასასრულებლად, რა თქმა უნდა, გერმანულად ბავშვებისთვის 8-დან 14 წლამდე. ხათუნა მჭედლიშვილი და მანონ ერაძე წარმოადგენენ პროექტს „წავიკითხოთ რეცეპტები – გამოვაცხოთ ვაფლები", სადაც ბავშვები აცხობენ ვაფლებს. ეს პროგრამა სკოლის ასაკის ბავშვებისათვისაა განკუთვნილი. რეჟისორი ბენ ფერბონგი წარმოადგენს ლიტერატურას ფილმად. ფილმი შექმნილია პაულ მაარის ცნობილი ნაწარმოების მიხედვით. ბრუნო ტაშენბირი, ქოლგების კონსტრუქტორი, პატარა ქალაქში ცხოვრობს და მშვიდ ცხოვრებას მისდევს. თავისი წარმოუდგენელი მორიდებულობის გამო ხშირად იჩაგრება უფროსისგანაც და უხასიათო ქალბატონი როტკოლისგანაც, რომლის ოთახსაც ქირაობს. ერთ მშვენიერ შაბათს მის ცხოვრებაში შემოდის შაბსი, უცნაური პატარა არსება დინგისებრი ცხვირითა და წითელი თმებით. გერმანულენოვანი ფილმი გათვლილია სკოლის ასაკის ბავშვებისათვის და მის შესავალს ქართულად შორენა შამანაძე წარმოადგენს. ამავე დღეს გერლინდე მასუდი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე „კითხვის მნიშვნელობა ადრეულ ასაკში", რომელიც მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის და ყველა დაინტერესებული პირისათვის არის განკუთვნილი.

მისივე თქმით, გოეთეს ინსტიტუტი ბავშვებსა და მოზარდებს, ისევე, როგორც მათ მშობლებსა და მასწავლებლებს „კითხვის დღეზე" შესთავაზებს მრავალ ღონისძიებას, რომლებიც მიეძღვნება გერმანულენოვან საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურას.

– პროგრამა მრავალფეროვანია და გათვლილია სხვადასხვა წლოვანების ბავშვებზე. ზოგი ღონისძიება მოითხოვს გერმანული ენის კარგ ან მცირე ცოდნას, ზოგი კი ქართულად წარიმართება. მთლიანობაში კითხვის დღე აერთიანებს „ლიტერატურულ კარავს", რაც მოიცავს პროგრამას საკითხავი და მოსასმენი წიგნები ბავშვებისთვის მყუდრო გარემოში, ლიტერატურას სცენაზე, ნახატი წიგნების სლაიდშოუს, ლიტერატურულ ვორკშოპებს, ლიტერატურას ფილმად. ესაა არასრული ჩამონათვალი იმ ღონისძიებებისა, რომლებითაც გოეთეს ინსტიტუტი ამ დღეს თავის სტუმრებს უმასპინძლებს, – აღნიშნავს გოეთეს ინსტიტუტის წარმომადგენელი ეკა წერეთელი.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ცეცხლგამძლე ლაბორატორიული ჭურჭელი; 2. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 3. ფულის ერთეული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 5. პოლიციელთა მეტსახელი ბრიტანეთში; 6. ჩეხური ქოფაკი; 8. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 11. ქართული მონასტერი ბულგარეთში; 13. მქრქალი გამჭვირვალე ფაიფური; 14. ქალაქი ფინეთში; 15. აფრიკაში მზარდი გიგანტური ხე; 19. ესპანელი ფერმწერი.

თარაზულად: 1. ისტორიული მოედანი ლონდონში; 4. ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი; 4. პაბლო პიკასოს ანტიფაშისტური ფერწერული ტილო; 9. სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი; 10. გერმანული მსუბუქი ავტომობილი; 12. თანამედროვე, მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 16. ყოველმხრივ უზრუნველი, მდიდრული ცხოვრება; 17. იტალიური პელმენი; 18. ჰოლივუდის კინორეჟისორი ბრიტანეთის საპატიო რაინდის ტიტულის მფლობელი; 20. ზოგიერთი მცენარის მიერ გამოყოფილი ტკბილი, შაქრიანი წვენი; 21. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული გამოთვლით ტექნიკაში; 22. ნავთობის საბადო კახეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. „კოპალა"; 2. რეიდი; 3. ფაშა; 5. „სოკარი"; 6. ხრამი; 7. „ჩხავერი"; 11. რანტიე; 13. თრილერი; 14. ლიტვა; 15. „მამლუქი"; 16. გულჩორა; 17. დუკერი; 19. აჯიკა; 20. ფოთი.

თარაზულად: 1. კარდიფი; 4. ფუქსი; 8. შახტი; 9. კანა; 10. ანდორა; 12. კვაზარი; 14. ლოტი; 15. მინისტრი; 16. გოტიე; 18. ვილია; 21. კუკია; 22. რუსთავი; 23. კურორტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. გელათი; 2. ტირანა; 3. მოცვი; 5. ხოზე; 6. „რომენი"; 8. ანდაზა; 11. თეოდოლიტი; 13. კუპიურა; 14. სორბონა; 15. ტერტერი; 19. „ლელო".

თარაზულად: 1. გოლფსტრიმი; 4. სამხარი; 7. ლომბერი; 8. ვაჩნაძე; 10. ათენა; 12. ასათიანი; 16. ჯაფარიძე; 17. აპლომბი; 18. ობივატელი; 20. ტოსკანა; 21. ლალი; 22. ეკოლოგია.

ირანის სულიერი ლიდერი აშშ-სთან მოლაპარაკებებზე უარს ამბობს



ირანის სულიერი ლიდერი, აიათოლა ალი ჰამენეი, ვაშინგტონთან პირდაპირ მოლაპარაკებებზე, ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, უარს აცხადებს. აიათოლას განცხადებით, ასეთი მოლაპარაკებები „არაფერს წყვეტს“. ამ ინფორმაციას სააგენტო „ფრანსპრესი“ ავრცელებს.

„თქვენ, ამერიკელებს გსურთ მოლაპარაკების წარმოება, ირანზე სამხედრო თავდასხმის პარალელურად. ირანელი ხალხი ასეთ ქმედებებს არ დაუშვებს და არ შეშინდება. ზოგს უხარია მოლაპარაკებების დაწყება, მაგრამ ეს მოლაპარაკებები ვერაფერს შეცვლის“, – ციტირებს სააგენტო ისლამური რესპუბლიკის უმაღლესი ლიდერის სიტყვებს.

გასულ კვირას, მიუნხენის კონფერენციაზე, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა, ჯოზეფ ბაიდენმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი თანახმაა ირანთან პირდაპირ მოლაპარაკებებზე, ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით.

აშშ, ისრაელი და დასავლეთის რიგი ქვეყნები ირანს ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობაზე ადანაშაულებენ. ამ დროისათვის, ირანის წინააღმდეგ, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ოთხი რეზოლუცია არსებობს, სანქციების შესახებ. საერთაშორისო საზოგადოება ისლამური რესპუბლიკისაგან ბირთვული პროგრამის მშვიდობიან მიზნებში დარწმუნებას ითხოვს.

ამავე დროს, აშშ-ი ამ ქვეყნის წინააღმდეგ სანქციებს ამკაცრებს. ახალი შეზღუდვები მიმართულია ნავთობის გაყიდვიდან ირანის ისლამური რესპუბლიკის შემოსავლების შემცირებისკენ.

აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ახლად დაწესებული ღონიძიებები, ამცირებს იმ ქვეყნების რაოდენობას, რომლებსაც აშშ-ის სანქცირებული რეჟიმის ფარგლებში შეუძლიათ ირანისგან ნავთობის შეძენა. სანქციები ასევე ართულებს ირანის მიერ რეალიეზებული ნავთობიდან მიღებული შემოსავლების ხელმისაწვდომლობას.

ბი-ბი-სის ინფორმაციით, დარტყმის ქვეშ აღმჩნდა ირანის სახელმწიფო ტელევიზიაც. აშშ-ის ხელისუფლების ინფორმაციით, ტელევიზიაში მკაცრი ცენზურაა დაწესებული ინ ინფორმაციებზე, რომელიც პოლიტიკური პატიმრებისგან ძალოვანი სტრუქტურების მიერ აღიარებითი ჩვენებების ზეწოლით მიღებას შეხება.

აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, იმ დრომდე ვიდრე ირანი არ რეაგირებს საერთშორისო თანამეგობრობის შეშფოთებაზე, მის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით აშშ გამოყენებს სანქციებს და გააძლიერებს ეკონომიკურ ზეწოლას ირანის რეჟიმზე.

„დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის მიერ დაწესებული სანქციების მიუხედავად რუსეთი და ირანი ითანამშრომლებენ“, – აღნიშნულის შესახებ ირანის ელჩმა რუსეთში მაჰმუდ რეზა საჯადიმ განაცხადა.

„ირანთან ეკონომიკურ თანამშრომლობასთან დაკავშირებით რუსეთს შეზღუდვები არ გააჩნია... ეს კანონიერია“, -აღნიშნა დიპლომატმა, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი მხოლოდ იმ სანქციებს მიუერთდა, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭომ შემოიღო.

„ისინი ბირთვულ და სამხედრო სფეროში თანამშრომლობას შეეხება და კავშირი არ აქვს ბუშერის ატომურ ელექტროსადგურის მშენებლობასთან, რომელიც უკვე ნორმალურად მუშაობს“,-აღნიშნა საჯადიმ.

სირიიდან გავრცელებული შეტყობინების თანახმად, დამასკოსთან მძიმე ბრძოლები მიმდინარეობს. თვითმხილველების თქმით, ეს გაცილებით ინტენსიური შეტაკებებია, უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში.

ადგილობრივი მცხოვრებლები ყვებიან, რომ მთელს ქალაქში ისმის ძლიერი სროლები. ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, სირიის არმიამ, შესაძლოა, დიდი შეტევა დაიწყო.

რიგი რაიონები დამასკოს შემოგარენში, უკანასკნელი თვეების განმავლობაში მეამბოხეების მიერ იყო დაკავებული. ორი დღის წინ, სირიის ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, მოაზ ალ-ჰატიბმა განაცხადა, რომ მზადაა სირიის ვიცე-პრეზიდენტთან, ფარუკ შარაასთან მოლაპარაკებები გამართოს, თუ ქვეყნის პირველი პირის შეცვლაზე საუბარი დაიწყება. უფრო ადრე კი, სირიელმა ოპოზიციონერმა მზადყოფნა ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების მზადყოფნა გამოთქვა, თუ დაიწყებოდა საუბარი 160 ათასი სირიელი პატიმრის გათავისუფლების შესახებ.

შეგახსენებთ, რომ გუშინ სირიის ქალაქ ალეპოში სამთავრობო და ოპოზიციის ძალების დაპირისპირების გარდა, ერთმანეთს ორი უმსხვილესი შეიარაღებული დაჯგუფების წევრები დაუპირისპირდნენ.

გაზეთ „ალ-ვათანის“ ცნობით, ერთმანეთს რადიკალური ისლამისტური დაჯგუფების „ჯებჰათ ალ-ნუსრისა“ და „ლივა ატ-ტაუხიდის“ შეიარაღებული მებრძოლები დაუპირისპირდნენ. კონფლიქტის მიზეზი, თვითმხილველების ცნობით, ამ უკანასკნელის მიერ „ჯებჰათ ალ-ნუსრის“ წევრის გატაცების მცდელობა გახდა. „ჯებჰათ ალ-ნუსრი“, რომელსაც „ალ ქაიდასთან“ აქვს კავშირები, ამერიკას ტერორისტული ორგანიზაციების სიაში ჰყავს შეყვანილი. ორივე დაჯგუფებამ უარი თქვა 2012 წელს ნოემბერში შექმნილ ოპოზიციის ეროვნული კოალიციის აღიარებაზე. როგორც აღნიშნავენ, დაჯგუფებებს შორის დაპირისპირება ადრეც მომხდარა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

ევროკავშირის დამკვირვებლები იულია ტიმოშენკოს შეხვდნენ

პირობები, რომელშიც მსჯავრდებულ უკრაინის ექსპრემიერ, იულია ტიმოშენკოს ამყოფებენ, დამცველებს მოსვენებას არ აძლევს. მასთან მიმაგრებული ევროპელი დამკვირვებლები, ტიმოშენკოსთან პალატაში შეხვედრის შემდეგ ნანახით გაოგნდნენ. უფრო სწორად, ეს შეხვედრა შედგა აბაზანაში, სადაც ის ბოლო დროს კამერებისგან დამალული ატარებს, წერს გამოცემა „კომენტარები“.

პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი ალექსანდრ კვასნევსკი და ევროპარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე პეტ კოქსი, ხარკოვის ნომერ მეხუთე დაწესებულებაში, ტიმოშენკოს აბაზანაში დაპატიჟეს. ორი საათის განმავლობაში რაზე ისაუბრეს, არ ხმაურდება, მაგრამ როგორც ექსპრემიერის ქალიშვილმა, ევგენია ტიმოშენკომ განცხადა, „შეხვედრამ თბილად ჩაიარა, რაც საჭირო იყო, ყველაფერი განიხილეს“. ერთადერთი, რამაც ევროპარლამენტის დამკვირვებლების ვიზიტი დაჩრდილა – პირობებია, რომელშიც ტიმოშენკოს ამყოფებენ. ისინი გააოგნა ამ პირობებმა, თავად ნახეს მონიტორები, მამაკაცი პერსონალი რომ იქვე იმყოფება, მცველები, ეს კამერები, მათ ეს ყველაფერი გაიგეს, იგრძნეს... ისინი უბრალოდ შოკში იყვნენ, როდესაც ეს კამერები ნახეს... ყველაფერი შეისწავლეს, დარწმუნდნენ, რომ ასეც არის ყველაფერი. მათ ესმით, რომ ასეთ პირობებში მკურნალობა შეუძლებელია“, – განაცხადა ევგენია ტიმოშენკომ.

ამასთან, უკრაინის პენიტენციალურ სამსახურში განაცხადეს, რომ სტუმრებს მეციხოვნეებთან არანაირი საყვედურები და შენიშვნები არ ჰქონიათ. ევროკავშირის დამკვირვებლებს პრესასთან არ უსაუბრიათ.

ტიმოშენკოს ქალიშვილმა ასევე ყველას შეახსენა, რომ დედამისი თავს ცუდად გრძნობს და გერმანული კლინიკა „შარიტეს“ ექიმები შემდეგ კვირაში მოინახულებენ. ტიმოშენკო მათთან ზურგის მკურნალობის კურსს გადის.

8 იანვარს იულია ტიმოშენკომ სამოქალაქო დაუმორჩილებლობა გამოაცხადა და პალატაში დაბრუნებაზე უარი თქვა, სანამ იქ ვიდეოდაკვირვებას არ გააუქმებენ.

მექსიკის ცაზე ერთდროულად რვა ამოუცნობი მფრინავი ობიექტი დააფიქსირეს

ერთდროულად რვა ამოუცნობი მფრინავი ობიექტი დააფიქსირეს მექსიკის ცაზე. „იუთუბზე“ განთავსებული სამწუთიანი ვიდეორგოლი 2013 წლის 26 იანვარს გადაიღეს, ხოლო ქსელში 31 იანვარს გამოჩნდა.

ვიდეოს ავტორი მიგელ აგილა თავდაპირველად ფიქრობდა, რომ ცას ფრინველების გუნდი იყო გამოკიდებული, – გადაღებულნი ფორმით ფრინველებს ძალიან წააგავდნენ. მაგრამ შემდეგ ნანახის ბუნებრივ წარმოშობაში დაეჭვდა, რადგან „ფრინველებს“ ფრთები არცერთხელ გაუშლიათ და დიდ სიმაღლეზე, ზედმიწევნით სინქრონულად მოძრაობდნენ.

ახლო ხედიდან მიგელმა ერთგვარი, ლუმინესცენური ნათებაც კი დაინახა, რომელსაც თითოეული ობიექტი ასხივებდა.

როდესაც ვიდეორგოლის ნახვამ 50 ათასს გადააჭარბა, მასმედიამ ყურადღება მიაქცია და სხვადასხვა მოსაზრებებიც გამოითქვა, მათ შორის ექსპერტების მხრიდან.

როგორც ერთ-ერთი გამოცემის ექსპერტი სკოტ უორინგი ამტკიცებს, თავიდან მანაც გადაღებული ფრინველებად მიიღო, მაგრამ ამჯერად აღიარებს საკუთარ შეცდომას და ასკვნის, რომ ვიდეოში მართლაც მოხვდა ამოუცნობი მფრინავი ობიექტები; შესაძლოა უცხო პლანეტებიდან და ასევე შესაძლოა მიწიერი წარმოშობის – მაგალითად, ეს შეიძლება ყოფილიყო უპილოტო საფრენი აპარატები, მექსიკის სამთავრობო სტრუქტურებიდან.

უორინგის აზრით, ობიექტები ფორმით ასევე გვახსენებს ამერიკულ საფრენ აპარატს, ტრ-3ვ-ს, რომელიც წარმოუდგენელ სისწრაფეს და უზარმაზარ ზომებს ფლობს. ამ გასაიდუმლოებულ პროექტზე მონაცემები დიდი ხანია უფოლოგებს აღელვებს; ისინი თვლიან, რომ აღნიშნული ტექნოლოგია უცხოპლანეტებისგან აიღეს და დედამიწის გრავიტაციული ზემოქმედების „დაწევის“ საშუალებას იძლევა.

სამგლოვიარო განცხადებები

ლილი, ციალა, პაატა ონიანები ოჯახებით იუწყებიან

შოთა კვიციანის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: შაბათს, 9 თებერვალს, 14 საათზე, დაბა მესტიაში.

თამაზ, ნესტან გვასალიები, თეზო, ნუნუ ჩართოლანები ოჯახებით იუწყებიან

შოთა კვიციანის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: შაბათს, 9 თებერვალს, 14 საათზე, დაბა მესტიაში.

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ეთერ-ბაქრაძე-ბაგრატიონის მეუღლის

გიორგი ბაგრატიონის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მეგობრები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ ბატონ ხუტა ხვიტიას შვილის

თემურ ხვიტიას

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა: შაბათს, 9 თებერვალს, 15 საათზე.

მისამართი: ფონიჭალა, თამაზ ხვიტიას ქ.№8.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

პარასკევი
8 თებერვალი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00 „მოამბე„ 10.30 „დილის საუბარი„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ეგვიპტიდან„ 17.00 დ/ფილ. 1) „ჩინეთის კულტურული მემკვიდრეობის სამკვიდრო„; 2) „შავი ელფების ისტორია„ 18.00 „პეპე და შეგობრები„ 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი„ 21.00 ტ/სერ 22.00 „აქცენტები„ 23.30 „წითელი ზონა„ 00.30 ქართ. მხ/ფ „ნარინჯის ველი„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.20 დოკ/ფ „ჰოლივუდის წყვილები„ 5 სერ. 13.00 სერ. „ბაძცევა – 4„ 14.40 სერ. „24 – 5„ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი 00.15 სერ. „ღვინის გზა„ 00.50 მხ/ფ „რევოლვერი„ (რ.ლიოტა) 02.40 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 პროფილი 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „ბესამე„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „ლომა,დავიწყებული მეგობარი„ 13.20 კონცერტი-ჩვენებურები 14.50, 18.20, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დეკორატიული ფლორა 16.05 მხ/ფ „მოკვეთილი„ 18.10 ტელეზაპარი 18.25 დებიუტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „კეთილი ადამიანები„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 იეღოველთა სექტის სწავლების შეცდომები 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 დოკ/ფ „წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.15 ირაო

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.30, 0.30 თოქ—შოუ - „კვირის არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.40 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhal-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6571	ევრო — 2,2638
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6219	რუსული რუბლი — 0,0524

ამინდის პროგნოზი 8 თებერვლისთვის

11 თებერვლიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 1 ამერიკული ზღაპრები





მალე, მალე, მალე „ახალ თაობასთან“ ერთად

ილია II ოქროს ხანა

სამტომეულის მე-2 ტომი

პატრიარქის ნათლულთა რეგისტრაცია იწყება

9 თებერვლიდან უკვე ოცდამეექვსედ იწყება საყოველთაო ნათლობისთვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ნათლულთა რეგისტრაცია. რეგისტრაცია საქართველოს საპატრიარქოში იწარმოებს. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ჯვრისწერის მოწმობის ასლი, შვილების ნათლობის მოწმობის ასლები და დაბადების მოწმობის ასლები.

მისმა უწმინდესობამ 2008 წელს ნათლისღების დღესასწაულზე გამოთქვა სურვილი, რომ საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მშობლების თანხმობის შემთხვევაში, ყველა ჯვარდაწერილ ოჯახში დაბადებულ მესამე და შემდგომ შვილებს მონათლავდა. ილია მეორის ამ ინიციატივას დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ამ დროისათვის საქართველოს პატრიარქს უკვე 14.000-მდე ნათლული ჰყავს. მისმა უწმინდესობამ ახალი ინიციატივაც გააჟღერა, რომ მშობლების სურვილის შემთხვევაში, ის ჯვადაწერილი ოჯახების მეოთხე და მომდევნო შვილებსაც მონათლავდა, პატარას ქართული ეკლესიის ტახტის მცველის წოდებას მიანიჭებდა, ხოლო მის მშობლებს – გმირი მშობლების ტიტულს.

წინა საყოველთაო ნათლობა სამების საკათედრო ტაძარში ბარბარობის დღესასწაულზე 17 დეკემბერს გაიმართა და მაშინ ილია მეორე 920 ახალშობილის ნათლია გახდა. თითოეულ ნათლულს საქართველოს პატრიარქი ასაჩუქრებს ნათლობის ჯვრით, ნათლობის მოწმობით, ნათლობის სანთლითა და ახალი აღთქმით. ნათლობის საიდუმლოს სამების ტაძრის მღვდელმსახურები ატარებენ, მისი დასრულების შემდეგ კი სამების ტაძარში მისი უწმინდესობა მიბრძანდება და თავის ნათლულებს დალოცავს. გარდა ამისა, სამების ახალგაზრდულ ცენტრში ეტაპობრივად იმართება შეხვედრები პატრიარქის ნათლულთა მშობლებთან, სადაც სასულიერო პირები იმ დიდ მადლზე საუბრობენ, რასაც პატრიარქის ნათლიობა მოიცავს. გამოითქვა სურვილიც, რომ აშენდეს ტაძარი პატრიარქის ნათლულთა სახელზე, თუმცა ჯერჯერობით არც ტაძრის მშენებლობის სავარაუდო ადგილი და დრო ცნობილი არ არის.

როდის გაიმართება რიგით 26-ე საჯარო ნათლობა, ასევე უცნობია.

ეკა ირემაშვილი

ასტროპროგნოზი 8 თებერვლისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

საინტერესო დღეა

ვერძი – დღე ისე წარიმართება, როგორც თქვენ გსურდათ. **კურო** – ფული გაქვთ, შენაძენი ძვირფასი იქნება. **ტყუპები** – ახალი სამსახური მოგეწონებათ. **კირჩხიბი** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** – თქვენს ცხოვრებაში წინსვლაა მოსალოდნელი. **ქალწული** – ფული გაქვთ, მეტსაც იშოვით. **სასწორი** – ახალ საქმეს წამოიწყებთ, სარფიანი აღმოჩნდება. **ღრიანკალი** – ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული, მთავარია იმოქმედოთ. **მშვილდოსანი** – სახლში დიდი სიხარული გელით, ამ დღეს ელოდით. **თხის რქა** – დღეს გახარებული ხართ, ყველა თავს გევლებათ. **მერწყული** – თქვენი სიკეთე დაფასდება, საჩუქარი ძვირფასია. **თევზები** – მოაწყვეთ განტვირთვის დღეა, დაისვენეთ და გაერთეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოხსვოხდი

შვეულად: 1. ძველი ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 2. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 3. წითელი ფერის ძვირფასი ქვა; 5. ფხვიერი ნივთიერებების რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 6. რაიმეს ზედაპირის ფართობის ერთეულზე მოქმედი ძალა; 7. „სეველიელი დალაქის“, „ფიგაროს ქორწინებას“ ავტორი; 11. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 13. მუსულმანთა რელიგიური დღესასწაული; 14. ქათმის პროდუქტების მწარმოებელი ბრაზილიური ფირმა; 15. არქიტექტურულად გაფორმებული შენობის მთავარი შესასვლელი; 16. აეროპორტი ბელგრადში; 17. დენის ძალის საზომი ერთეული; 19. სპორტული ან სასეირნო ნავი; 20. ფრანგი მოქანდაკე ქალი.

თარაზულად: 1. მიწაში ბინადარი ცხოველი; 4. ბრაზილიური ცეკვა; 8. სახელმწიფო სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში; 9. პატარა კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 10. ღვინის რაოდენობის საზომი ძველებური ერთეული, უდრიდა დაახლოებით ერთ ლიტრს; 12. უფროსი მწყემსი; 14. ყურანის თითოეული თავი; 15. ჩინური დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 16. ვაშლის ღვინო; 18. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდი; 21. ფრანგული მინერალური წყალი; 22. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 23. თითმართული წყალქვეშა ჭურვი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



უზნაძემ შეგირდები პარიზში იახლა

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები საფრანგეთში გაემგზავრა. მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ პარიზის „დიდ სლემზე“ დასაყენებელი შემადგენლობა დაასახელა. 9-10 თებერვალს გასამართ უპრესტიჟულეს ტურნირზე ტატამზე თორმეტი ქართველი ძიუდოისტი გავა. 5 წონაში ჩვენები 2-2 მოჭიდავით გამოვლენ, ხოლო 2 წონაში თითო-თითო წარმომადგენელი ეყოლებათ.

„სეკვესტრირებულ“ წონებში ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ) და ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ) იჭიდავებენ. ეს ძიუდოისტები უზნაძემ თბილისურ „ევროპის ღია ტურნირზე“ დაასვენა. დანარჩენი 5 წონა კი, ნაკრების თავკაცმა ძირითადად თბილისის ტურნირის გამორჩეული ძიუდოისტებით შეავსო.

ერთადერთი, ვინც ჭრიკიშვილისა და ლიპარტელიანის მსგავსად, სპორტის სასახლის ტატამზე არ გასულა, ბეთქილ შუკვანია (60 კგ). საქართველოს ნაკრების პარიზულ დელეგაციაში ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილიცაა (66 კგ), ოღონდ იგი მონაწილეობას მხოლოდ ტურნირის შემდგომ ერთობლივ წვრთნებში მიიღებს. ირაკლი უზნაძის წინასწარი გეგმის თანახმად, შავდათუაშვილი საფრანგეთში შეჯიბრებაშიც უნდა ჩართულიყო, მაგრამ ორიოდ კვირის წინ, ნაკრების შეკრებისას, ვარჯიშზე მიღებულმა მუხლის ტრავმამ ტატამზე მისი დაბრუნება სავარაუდოდ ორი კვირით გადადო, დიუსელდორფის „დიდი პრიზისთვის“ (23-24 თებერვალი).

საქართველოს ნაკრების სრული სია ასეთია:

60კგ: ბეთქილ შუკვანი და ამირან პაპინაშვილი; 66კგ: ტრისტან ფეიქრიშვილი და თორნიკე თათარაშვილი; 73კგ: ნუგზარ ტატალაშვილი და ზებედა რეხვიაშვილი; 81კგ: ავთანდილ ჭრიკიშვილი; 90კგ: ვარლამ ლიპარტელიანი; 100კგ: დავით ლორიაშვილი და ლაშა გურული; მძიმე: ადამ ოქრუაშვილი და გიორგი ზაქარიაძე.

მ. ჟ.

მექსიკაში ცხრა წლის გოგონამ იმშობიარა

მექსიკაში ცხრა წლის გოგონა დედა გახდა, მან ორსულობის სრულ ვადაში, 40 კვირაში ჯანმრთელი ბავშვი დაბადა. ამის შესახებ ქალაქ საპონანის (ჰალისკოს შტატი) ჰოსპიტალის დირექტორმა, ენრიკე რაბაფო სოლორიომ განაცხადა. მისი თქმით, საკეისრო ოპერაციის დამხარებით, მშობიარობა ჯერ კიდევ იანვრის ბოლოს მოხდა.

ნორჩი დედა, რომლის გვარიც არ სახელდება, ახლადდაბადებულ ქალიშვილთან ერთად სამშობიაროდან უკვე გამოწერეს, – იტყობინება რადიო „ფორტუნა“. ორივე თავს კარგად გრძნობს,

დირექტორის თქით, გოგონა სამკურნალო დაწესებულებაში მისმა ახლობლებმა მიიყვანეს. ორსულობის შესახებ ინფორმაციამ საავადმყოფოში შოკი გამოიწვია, რადგან ადრე ასეთი შემთვევა არ ჰქონიათ.

მექსიკური მასმედიის ცნობით, პატარას ახლადდაბადებულისთის ნორმალური პარამეტრები აქვს. ის 2,7 კილოგრამს იწონის, სიმაღლე 50 სანტიმეტრს შეადგენს, იუწყება „რია ნოვოსტი“.

ამასობაში, გარემოებების შესწავლას სამართალდამცავი ორგანოები შეუდგნენ. ჰალისკოს პროკურატურის აზრით, შესაძლოა საქმე ეხებოდეს გაუპატიურებას და სექსუალურ იძულებას არასრულწლოვანის მიმართ. მამა შეიძლება იყოს 17 წლის ბიჭი, რომელსაც პოლიცია აქტიურა ეძებს.

გ. მ.